პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 166 (19607) ◆ შაბათი, 19 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დაჩქარების სტრატეგია

სურათებზე: საქმის მწარმოებელი, სკკპ წევრობის კანდიდატი გიორგი მამულაშვილი; ერთ-ერთი საუკეთესო დურგალი, კომკავშირელი ავთანდილ ხინჩაგაშვილი; მოწინავე ელექტროშემდუღებელი, კომუნისტი გივი მირზაშვილი, კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადის ხელმძღვანელი, კომუნისტი ვაჟა გაგოევი და ელექტროშემდუღებელი თენგიზ ყიფიანი.

ა. სააკოვის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 17 ივლისს გამართულ სხდომაზე განიხილა და ძირითადად მოიწონა წინადადებანი 1987 წლის დამდეგიდან ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს ყველა გაერთიანებისა და საწარმოს, აგრეთვე სხვა სამრეწველო სამინისტროთა მთელი რიგი გაერთიანებებისა და საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ. ამასთან დაკავშირებით დასახულია აქტიურად გამოიყენონ სუმის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისა და ავტოვაზის გამოცდილება საწარმოო და სოციალური განვითარების თვითდაფინანსების საქმეში, ორსებითად შეაჩქაროონ საწარმოებისათვის დადგენილ საგეგმო დავალებათა მიჩენებლების რიცხვი, გაზარდონ მოგების, როგორც საწარმოო საქმიანობის შედეგების განმაზოგადებელი მიჩენებლის, მნიშვნელობა. მხედველობაშია, შემოიღონ საწარმოებსა და ბიუჯეტს შორის მოგების განაწილებისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირების სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები. გადავალისწინებულია ქიმიური და ნავთობქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტროში მართვის შემდგომი სრულყოფა, დიდი სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების შექმნა.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სახელმწიფო ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის შესახებ. ამ დადგენილების მიზანი ის არის, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება, ამაღლდეს მისი ხარისხი და კულტურა, გაძლიერდეს ვაჭრობის საწარმოებისა და თითოეული მუშაკის ეკონომიკური დაინტერესება და პასუხისმგებლობა საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. ამ დარგში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფა შეიცავს ცენტრალიზებულად დადგენილ საგეგმო მაჩვენებლთა რიცხვის შემცირებას, სავაჭრო ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის გაფართოებას სამეურნეო ანგარიშის განვითარებას, თვითდაფინანსებაზე მათი გადაყვანის საფუძველზე. შრომის ანაზღაურება, საწარმოო განვითარების შესაძლებლობანი და მუშაკთა სოციალური პირობების გაუმჯობესება უშუალოდ არის დამოკიდებული შრომითი კოლექტივების საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

პოლიტბიუროომ მოისმინა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის დამშუშავებელი ცენტრების, მოქნილი საწარმოო მოდულებისა და სისტემების შექმნისა და წარმოების კომბინატისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის ვ. პ. კაბაიძის ინფორმაცია ამ გაერთიანების მუშაობის პრაქტიკის შესახებ. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ მომმე სოციალისტური ქვეყნების საწარმოთა პირდაპირი კავშირი, მათ გაღრმავებულ საწარმოო კოოპერირებაზე, მჭიდრო სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაზე გაბედული გადასვლა, სოციალისტური გერგილიანობა დიდ შესაძლებლობებს სახავს, რათა შემცირდეს უახლეს სახეობათა მოწყობილობის შემუშავებისა და ათვისების ვადები. სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი თანამშრომლობის ამ პროგრესული ფორმის შემდგომი გაფართოებისათვის, რაც შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სხვა ქვეყნების ინტერესებს, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებას.

პოლიტბიუროომ მოიწონა სათბობით მოსახლეობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად მთავრობის მიერ მეთორმეტე ხუთწლედისათვის შემუშავებული ღონისძიებანი. დასახულია გაუმჯობესდეს სათბობის ხარისხი, დაიწყოს ქვანახშირისა და ტორფის ბრიკეტების ფაბრიკების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, გაფართოვდეს მათთვის საჭირო მოწყობილობის მიწოდება. მომავალი წლიდან გათვალისწინებულია ყველგან განხორციელდეს გადასვლა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საქალაქო და რაიონული თბომომმარაგებელი საწყობების მეშვეობით სათბობით მოსახლეობის მომარაგებაზე.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით პოლიტბიუროომ პარტიულ კომიტეტებს წინადადება მისცა განახორციელონ შემდგომი ღონისძიებანი საბჭოთა ორგანოებსადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად, მათთვის ყოველმხრივი დახმარების გასაწევად. ახორციელებენ რა ამ ხელმძღვანელობას, ყველა დონის პარტიული კომიტეტები თანამიმდევრულად უნდა ასრულებდნენ საბჭოების დამოუკიდებლობისა და აქტიურობის გადიდების კურსს, არ დაუშვან მათი ფუნქციების დუბლირების ფაქტები, მოაგვარონ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ურთიერთმოქმედება. ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა გაიზარდოს პარტიული ჯგუფების როლი საბჭოებში, რომლებიც სკკპ წესდების შესაბამისად პარტიის გავლენის გაძლიერების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის დემოკრატიული ფორმების განვითარების ქმედითი მექანიზმი უნდა გახდნენ.

პოლიტბიუროს სხდომაზე მოისმინეს ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის ინფორმაცია ლე ზუანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის, ვიეტნამის პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელებთან, აგრეთვე ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელებთან დელეგაციის საუბრების შესახებ. პოლიტბიუროომ დაადასტურა, რომ უცვლელია მომმე პარტიებთან თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარებისა და გაღრმავებისათვის, საბჭოთა კავშირის, ვიეტნამის, ლაოსისა და კამბუჩიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის გამიზნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი.

განიხილეს ამხანაგ ი. ფ. სოლოვიოვის ინფორმაცია ქორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა სსრ კავშირისა და ქორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 25 წლისთავის დღესასწაულში, კიმ ირ სენთან და ქორეის სხვა ხელმძღვანელებთან საუბრების შესახებ, რომელთა დროს დადასტურდა, რომ ორივე პარტია და ქვეყანა ესწრაფვიან მეგობრული კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

განიხილეს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის ინფორმაცია დიდ ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტის შედეგების შესახებ. პოლიტბიუროომ აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოლაპარაკება, პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან საუბრები, აგრეთვე ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმებანი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ორი ქვეყნის პოლიტიკური დიალოგის გაგრძობის, ხელსაყრელი ურთიერთობისა და იმ საკითხებზე თანამშრომლობის განვითარების გზაზე, რომელთა გამო მხარეებს აქვთ შეხების წერტილები და საერთო დაინტერესება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, მშვიდობის განმტკიცებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ სხვა საკითხზე.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მ. ტრაორეს

18 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა მალიელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გენერალურ მდივანს, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტს მუსა ტრაორეს.

მ. ს. გორბაჩოვმა და მ. ტრაორემ დაადასტურეს, რომ პარტიათშორისი კავშირი „საბჭოთა კავშირ-მალის ურთიერთობის მთელი კომპლექსის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მათ მიაღწიეს მორიგებას განაზორციელონ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მალიელი ხალხის დემოკრატიული კავშირის, საბჭოთა კავშირისა და მალის რესპუბლიკის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების ინტერესებისათვის.

საუბრის დროს განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. მ. ს. გორბაჩოვმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც თანამიმდევრულად განახორციელებს გეზს, რომლის მიზანია ძირეული გარდატეხის მიღწევა საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაში, კაცობრიობის განთავისუფლება ბირთვული და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღისაგან, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა. ამ საქმეში, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, მჭიდროდ ითანამშრომლებს განთავისუფლებულ ქვეყნებთან, მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან.

მ. ტრაორემ დიდი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის უკანასკნელ სამშვიდობო ინიციატივებს, ამასთან აღნიშნა მათი კონსტრუქციულობა და მნიშვნელობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბედისათვის.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აფრიკაში კრიზისული ეკონომიკური მდგომარეობის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით მათ განაცხადეს, რომ უნდა გაორკეულდ ვანახორციელებს ქმედითი ღონისძიებანი, რათა შეიქმნას ახალი სამართლიანი მსოფლიო ეკონომიკური წყობა, უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკური უშიშროება.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

* * *

18 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-მალის ერთობლივ დოკუმენტებს.

დეკლარაციას სსრ კავშირისა და მალის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ და მალიელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გენერალურმა მდივანმა, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მ. ტრაორემ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მალიელი ხალხის დემოკრატიული კავშირის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. თ. დობრინინმა და მალიელი ხალხის დემოკრატიული კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი ბიუროს საგარეო ურთიერთობის საკითხთა მდივანმა სეკუ მინანდიუ ტრაორემ.

ხელმოწერას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ნ. დემიჩევი და სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც მალის რესპუბლიკის პრეზიდენტს ახლავან.

მალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაათვალიერა მუზეუმი „ვ. ი. ლენინის კაბინეტი და ბინა კრემლში“.

(საკდესი)

* * *

სურათზე: საუბრის წინ. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ტ. ტერნერს

18 ივლისს მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ტ. ტერნერი — ამეკამად. მოსკოვში მიმდინარე კეთილი ნების ასპარეზობის ერთ-ერთი ინიციატორი, ამერიკის „ტი-ბი-ეს“ ტელეკომპანიის მფლობელი.

გარდატეხის, მსოფლიოსათვის ასუხსაგებ მომენტებში, აღნიშნეს მოსაუბრეებმა, დიდად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთგაგებისა და ნდობის დამყარებას, ასუსტებენ, სპობენ ეჭვსა და დაძაბულობას ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობაში. კეთილი ნების ასპარეზობა სწორედ ამგვარ ინიციატივებს განეკუთვნება. მ. ს. გორბაჩოვმა პასუხი გასცა ტ. ტერნერის კითხვებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საბჭოთა კაფშირ-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობასთან, მთლიანად საერთაშორისო ვითარებასთან. ბირთვულ საუკუნეში, მზარდი ეკოლოგიური თუ სხვა საფრთხის პირობებში, ხაზი გაუსვა მან, საერთაშორისო პრობლემებისადმი ერთადერთ მისაღებ და რეალისტურ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი მიდგომა, რომლის დროსაც აღიარებულია ყოველი ქვეყნის უფლება თვითონ გადაწყვიტოს შინაური საქმეები, გამორიცხულია ძალის გამოყენება, ვლინდება მოთმინება და შემწყნარებლობა, თითოეულის კანონიერი ინტერესების პატივისცემა.

საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიკოსი გ. ა. არბატოვი და მ. ვ. გრამოვი, ცოცხალი და კეთილმოსურნე იყო.

მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო რ. ნიქსონი

18 ივლისს მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რ. ნიქსონი მისი თხოვნით.

საფუძვლიანი და გულახდილი საუბრის დროს განხილულ იქნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხები.

შეხვედრას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი. (საკდესი).

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

18 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ს. მიხაილოვს, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად იმყოფება.

გულთბილი მეგობრული საუბრის დროს ბულგარელ სტუმარს ეცნობა, თუ როგორ ახორციელებენ საბჭოთა საქართველოს პარტიული ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და 1986 წლის ივნისის პლენუმების მოთხოვნებს, გააცნეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის სასტარტო წლის პირველი ნახევრის შედეგები, ის, თუ როგორ წყდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და ხარისხის ამაღლების საკვანძო ამოცანები პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის, სამეურნეო მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრის საფუძველზე.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს იდეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტის, ინტერნაციონალური აზრდის დაკენების, ეროვნული ურთიერთობის სრულყოფის გამოცდილება.

შეხვედრაზე აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბულგარელი და ქართველი ხალხების ტრადიციულ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობას, რომელმაც ამჟამად თვისებრივად ახალი განვითარება პოვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა საქართველოს კომუნისტთა მეჩიდრო პარტიათშორის ურთიერთობაში, აქცია ასს რესპუბლიკისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოლქის მეგობრულ პარტნიორობაში, წარმატებით რომ ვითარდება.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე რ. ა. გოგლიძე. (საკინფორმი).

გარდაქმნის კრიტერიუმია დისციპლინა

პარტიის მიერ დასახული დაჩქარების სტრატეგია იწყება დისციპლინის განმტკიცებით, სოციალისტური მორალისა და სამართლის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით. ამიტომ გარდაქმნა, რომელმაც მოიცვა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფერო, განსაკუთრებით აქტუალურია შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის. აქვთ რა ყოველგვარ პროცესებზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტები, ისინი მოწოდებული არიან ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, იცავდნენ სახელმწიფო ინტერესებს, მოქალაქეთა ჯანმრთელობასა და ღირსებას, ეწეოდნენ მტაცეცპროფილაქტიკურ მუშაობას.

გარდაქმნა ვერ განხორციელდება უბრძოლველად. არაკეთილსინდისიერი ადამიანების, წამგლეჯებისა და საქმოსნების წინააღმდეგობის აღკვეთა, წარმოებაში, საზოგადოებრივ ადგილებში, საცხოვრებელ ადგილზე და უწინარეს ყოვლისა საკუთარ რიგებში წესრიგის დამყარება დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა. ეს აზრი გახდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და პარტიული აქტივის გაერთიანებული გაფართოებული სხდომის ლაიტმოტივი, მისს მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის 1986 წლის პირველი ნახევარწლეულის ძირითადი შედეგები და პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ამოცანები.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. ვ. გორგოძე. სამინისტროს ცენტრალური აპარატის, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა რეგიონალური ორგანოების სამსახურების ხელმძღვანელებმა, პოლიტმუშაკებმა საფუძვლიანად და მომთხოვნელად გააანალიზეს გარდაქმნის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები, გამოავლინეს დაშვებული შეცდომების მიზეზები, განსაზღვრეს მუშაობის სტილის, ფორმებისა და შეთოდების სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციათა ორგანოების განყოფილების გამგე ვ. ბ. ბაძრაძე.

კანონი გარდაუვალად მოქმედებს

იმის დადასტურება, რომ რესპუბლიკაში მთლიანად გაუმჯობესდა ოპერატიული ვითარება, ციფრებითაც შეიძლება. მაგრამ არანაკლებ დამაჯერებელი არგუმენტია საზოგადოების თვალში მილიციის ორგანოების გაზრდილი ავტორიტეტი. თანამიმდევრულად ამკვიდრებენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსს, რომლის მიზანია საბჭოთა ცხოვრების წესისათვის უცხო მოვლენების სრული აღმოფხვრა, ისინი უფრო კონკრეტულად და საგნობრივად წყვეტენ მომწიფებულ პრობლემებს, ისწრაფვიან ჩასწვდნენ სამართალდარღვევათა ფესვებს. ამიტომ ფუძემდებელი პრინციპი ხდება საჯაროობა. ფართო რეზონანსი ჰქონდა ტელემაყურებლებთან ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა გულახდილ დიალოგებს, პრესაში მათს გამოსვლებს. და იმას, რომ სიტყვა საქმეს არ აცილდება, ადამიანები პრაქტიკულად გრძნობენ.

მაგალითად, მახარაძის რაიონის ბევრ მცხოვრებს არ სჯეროდა, რომ შესაძლებელია ადგილობრივი საქმოსნებისა და კომბინატორების მხილება. ისინი ხომ წლების მანძილზე ყოვლისშემძლეებად ეჩვენებოდათ, ვინაიდან დაუსჯელი რჩებოდნენ. და დასჯის გარდაუვალობის შერყეული რწმენა წამგლეჯებსა და მაქინატორებს საშუალებას აძლევდა მოურიდებლად ჩაედინათ თავიანთი ბინძური საქმეები, გაეხრწნათ მერყევი ადამიანები, მომხვეჭელობის ჭაობში ჩაეთრიათ ახალ-ახალი მსხვერპლი.

მაგრამ კანონი გარდაუვალად მოქმედებს. ახლა, როცა მართლმსაჯულების მსახვრალი მახვილი მისწვდა პირწავარდნილ დამნაშავეებს, არ შეიძლება, დაუშვებელია სიფხიზლის მოდუნება, მხოლოდ აქტიურმა, შეტევითმა მოქმედებამ შეიძლება დარაზმოს საზოგადოებრიობა ჩვენი ცხოვრების ანტიპოდების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისათვის. და აქ მილიციის მუშაკებს ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი აქვთ. რაც

(დასასრული 3-ე გვ.)

მთავარი ორიენტირია საბოლოო შედეგი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების დანერგვის დაჩქარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივების 1985 წლის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა წარმატებით შეასრულეს 1985 წლისათვის ნაკისრი ერთობლივი ვალდებულებანი. მათი ნამუშევრების დანერგვამ ხელი შეუწყო იმას, რომ რესპუბლიკამ შეასრულა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმა. შარშან სამეცნიერო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების ერთობლივი ვალდებულებებით დანერგილმა ნამუშევრებმა 2,5 მილიონ მანეთზე მეტი საერთო ეკონომიკური ეფექტი მოგვცა.

წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების დანერგვის დასაჩქარებლად სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების 1985 წლის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის გამარჯვებულად ცნეს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით და დიპლომებით დაჯილდოვეს:

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიისა და საშემდუღებლო წარმოების ტექნოლოგიის კათედრა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „თბილისკალაქმშენის“ „ორგტექმშენისა“ და № 10 (№ 3 სახლთსაშენებელი კომბინატი) ტრესტები;

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველო.

აღინიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტისა და ზუსტაფონის ფერომენადნობთა ქარხნის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტისა და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს მადნეულის სამთო-შამდიდრებელი კომბინატის, საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფალტბოს ფილიალის დადებითი მუშაობა.

რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს და საქართველოს სსრ სახტელერადიოს წინადადება მიეცათ ფართოდ გააშუქონ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივების მოწინავე გამოცდილება, რომლებმაც საუკეთესო საბოლოო შედეგებს მიაღწიეს წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების დანერგვის დაჩქარებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

(საქინფორმი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნულ ხელმძღვანელობას და ნიკარაგუის რესპუბლიკის პრეზიდენტს დანიელ ორტეგა საავედრას მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ნიკარაგუის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — რევოლუციის გამარჯვების დღის გამო.

პარტიული ცხოვრება: მომკითხველობის საზომი

საქმე მოგანდეს, როგორ შეძლებენ?

ისმენენ ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

— **დაჩქარების** სტატეგია თითოეული მშრომელისგან, თითოეული კომუნისტისგან მოითხოვს შრომისადმი პასუხისმგებლური და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ინიციატივისა და შემოქმედების ორგანიზებულობისა და დისციპლინის პირად მაგალითს, — თქვა კრებაზე გამოსულმა საგამმწველო საამქროს მუშამ გ. იაძემ, — რას ვაკეთებთ პირადად ჩვენ?..

კრება, რომელზეც მოისმინეს სკკპ წევრის, კომბინატის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ინჟინრის გ. გაბინაშვილის ანგარიში და დაამტკიცეს მისი პარტიული დახასიათება, საქმიანად და პრინციპულად წარმართეს კასპის რაიონის მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის კომუნისტებმა.

დღეს ეს საწარმო ახლდება — მიმდინარეობს რეკონსტრუქცია, იზრდება მისი სიმძლავრეები.

ბოლო ხანს აქ ახალი ტექნოლოგიური ხაზები დაამონტაჟეს, ამუშავდა საშრობი დოლები, კაპიტალურად შეკეთდა ორი გვირაბღუმელი, მთავრდება თიხის კარიერის მეორე რიგის მშენებლობა. თანდათან იცვლება კომბინატის სახე, უმჯობესდება კოლექტივში ზნეობრივ-მორალური კლიმატიც. ურთიერთმოქმედებენ ველობა, სიფხიზლე აქ ცხოვრებისა და მუშაობის ნორმა ხდება და უწენარესად ეს კომბინატის სამეურნეო მაჩვენებლებს დაეტყო: ჩამორჩენილი საწარმოდან — დიდ რენტაბელურ კომბინატამდე! —ასეთია კოლექტივის მიერ უკანასკნელ სამ წელიწადში განვლილი გზა.

— და მაინც, წარმატებები მეტი გვექნებოდა, უფრო მეტ პრინციპულობას რომ ვიჩენდეთ ერთმანეთისადმი, — თქვა კრებაზე. — გ. გაბინაშვილის თავკაცობით ღუმლები შეკეთდა. ნამუშევარი უხარისხო გამოვიდა. მოვკითხეთ კი მის ამის გამო? არა, დუმილი ვამჯობინეთ! ახანო გაარემონტეს, მაგრამ იმდენად უხარისხოდ, რომ ისევ სარემონტოა. არც ამის გამო დაგვიძრავს კრინტი! ხელახლა შესაკეთებელია თიხის საამქროს სახურავი; ორი წელიწადია ჭიანურდება კომბინატის ბაგა-ბაღის შენებლობა და ეს მაშინ, როცა ბევრი ჩვენი მუშა ქალი სამუშაოზე ვერ გამოდის, რადგან მცირეწლოვან ბავშვებს უმეთვალყურეოდ ვერსად ტოვებს.

ბევრი, ძალიან ბევრი სასიკეთო რამის გაკეთება შეიძლებოდა, საქმეს უნარიანად რომ უძღვებოდეს კაპიტალური მშენებლობის განყოფილება და მისი უფროსი ინჟინერი.

სკკპ წევრი, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის კაპიტალური მშენებლობის უფროსი ინჟინერი გ. გაბინაშვილი ამ კოლექტივში გაიზარდა და აქვე ჩამოყალიბდა, როგორც მოქალაქე და სპეციალისტი.

შრომითი საქმიანობა ალიზის მიმწოდებლით დაიწყო, დაამთავრა სამუალო სპეციალური სასწავლებელი, გახდა კომუნისტი. მისი შრომისმოყვარეობა და სამსახურებრივი მოვალეობისთვის პასუხისმგებლობის თვისებები შეიჭმნეველი არ დარჩენიათ კომბინატის ხელმძღვანელებს, მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, თავიც გამოიჩინა, როგორც ბეჯითმა და კარგმა სპეციალისტმა.

— მაგრამ უკანასკნელ ხანებში, — აღნიშნა თავის გამოსვლაში მემანქანე ნ. აფციაურმა, — იგი ჭირვეული გახდა, ზედმეტად თავდაჯერებული, თანაც კი არ გააძლიერა მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი, არამედ პირიქით, შეასუსტა კიდეც.

კომუნისტების ე. მემარნეშვილის, თ. ხვთისიაშვილის, თ. მოდებაძის, ა. შარანგიასა და სხვათა გამოსვლებში პრინციპულად ითქვა ნაკლოვანებებზე, ხარვეზებზე, რომლებითაც ხასიათდება უკანასკნელ წლებში გ. გაბინაშვილის საქმიანობა.

კრებამ ცნობად მიიღო სკკპ წევრის გ. გაბინაშვილის ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

კომუნისტებმა თავიანთ დადგენილებაში ჩაწერეს, რომ კომუნისტ გ. გაბინაშვილის სამსახურებრივი საქმიანობა და ცხოვრების წესი, მის მიერ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულება და პირადი თვისებები უარად ვერ აკმაყოფილებს სკკპ წევრის მოთხოვნებს.

ფანამოსაქმეებმა განყოფილების უფროსი ინჟინრის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ მან კიდევ უფრო უნდა სრულყოს და დახვეწოს ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, მეტი დაინტერესება, ენერგიულობა და პრინციპულობა გამოიჩინოს კომბინატის პერსპექტიული განვითარების საკითხების გადაწყვეტისას, ყურადღებით ადევნოს თვალი კომბინატში სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას. ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „განსაკუთრებით შეივეხებით დღეს ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობას, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ გარდაქმნა "მათთვის მინდობილ უბნებზე".

პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის, რასაც მოჰყვა კომბინატში მთელი რიგი სარემონტო სამუშაოების ხარისხის გაუარესება, კრებამ სკკპ წევრს გ. გაბინაშვილს საყვედური გამოუცხადა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეაქტივი ვცდეთ მეჩაიეთა გარჯას

„ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობა

ხელვაჩაურის რაიონის ოფილის მეურნეობა მრავალდარგოვანია. მათ შორის ჩაის პლანტაციები ყველაზე მეტ შემოსავალს იძლევა, ამიტომაც იგი დიდი პატივით სარგებლობს. დასამალი არ არის, რომ რესპუბლიკის სუბტროპიკულ ზონაში წლების განმავლობაში უხეირო ექსპლოატაციით პლანტაციები დაკნინდა. ასე იყო ხელვაჩაურშიაც. ახლა ხორცელდება ღონისძიებები დაკნინებული და მცირემოსავლიანი პლანტაციების აღსადგენად. ყველა საზოგადოებრივი მეურნეობის რგოლებში მოეწყო საწყაწყუხეები.

განხორციელებული ღონისძიების შედეგად, განსაკუთრებით ჩაისუბნისა და ურეხის კოლმეურნეობებში, სალიბაურისა და თხილნარის საბჭოთა მეურნეობებში ზედმეტი ექსპლოატაციით დაკნინებული პლანტაციები ძალას იკრებს უხვი მოსავლის მოსაცემად.

წლეულს მეჩაიეებმა საგეგმო დავალებით 22.100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა დაამზადონ. მაგრამ ჯერ გვალვებმა, შემდეგ მაისის ხშირმა წვიმებმა და სიცივეებმა დუყები დააკნინა. შეფერხდა მოსავლის აღება, ამიტომ ნახევარი წლის გეგმა ვერ შესრულდა. მაისიქნისში მოიკრიფა 7.417 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი — წლიური გეგმის 33,5 პროცენტი. ამ დროისათვის დანაკლისმა 2.759 ტონა შეადგინა, ჩამორჩენენ მექანიზატორებიც, რომლებმაც სახელმწიფოს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.137 ტონით ნაკლები ნედლეული მიჰყიდეს.

ივლისის პაპანაქება სიცხეში ქუდზე კაცი გამოდის ჩაის საკრეფად და ჩამორჩენის დასაძლევად. მთელი ძალები მობილიზებულია შემოსული ნედლეულის უდანაკარგოდ აღება-გადამუშავებისათვის. მიუხედავად ასეთი შემართებისა, ტემპის გაძლიერება მართებთ ჩაისუბნისა და ახალშენის კოლმეურნეობებს, რომლებიც შესაბამისად 3.610 და 2.500 ტონა ჩაის ფოთოლს აწარმოებენ. ასევე ითქმის ახალსოფლის, მახინჯაურის, ურეხის, ერგეს, კირნათის, აჭარისწყლის კოლმეურნეობებზე, მახინჯაურის, სილიბაურის და თხილნარის საბჭოთა მეურნეობებზე.

მახოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა სეზონში 1.166 ტონა ნედლეულს აწარმოებს. ახლა ჩაი უხვად არის შეშოსული და კრეფენ კიდეც. არც ჩაის ხარისხი ავიწყდებათ აქ. დღემდე დამზადებულ ნედლეულში ნაზი ფრაქციის შემცველობამ 48 პროცენტი შეადგინა. ეს ურიგო მაჩვენებელი როდია. კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით და აგროსამრეწველო გაერთიანების დახმარებით ააშენა ჩაის მიკროფაბრიკა. ნედლეულს მახოელები თავიანთი ფაბრიკაში ამუშავებენ. ფაბრიკა შარშან გადაეცა საექსპლოატაციოდ და შარშანვე მოგებით (289 ათასი მან.) დაამთავრა სამეურნეო წელი. ახალი მოსავლის პროდუქცია გაეგზავნათ მოსკოვის და ოდესის შრომელებს, პოლონეთში გასაგზავნადაც ამზადებენ მახოელები თავიანთ ნახელავს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ფაბრიკის შრომელებს კვებისა და დასვენების პირობები უფრო მეტად უნდა გაუუმჯობესდეთ.

დავთვალეიერეთ კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის ჩაის პლანტაციები, ვესაუბრეთ მეჩაიეებს. ბრიგადის ჩაის მიმღებ პუნქტში გამოდის საველე გაზეთები, აირის თვალსაჩინოებები, ახალი ეურნალ-გაზეთები და სხვა, მაგრამ ცუდი ის გახლავთ, რომ შესვენებისას, როცა პუნქტს ჩაის ფოთოლს მიუწონიან, მაგიდა და მერხები არ არის. ვაჭრობის მუშაკები . მკლავმოუღლელ მახოელ მეჩაიეებს არ სთავაზობენ ნაყინს, გამაგრილებელ წვენებსა და მინერალურ წყლებს.

თხილნარის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის მეჩაიეებს შუა დღეს ვეწვიეთ. აქაც ერთი შეიქა ცივი წყალიც კი არ ჰქონდათ. ამაზე მეჩაიეებმა სამართლიანი საყვედური გამოთქვეს რაიკოოპერატორების მუშაკების მისამართით. დავუკავშირდით მის თავმჯდომარეს ვ. აბაშიძეს, რომელმაც გვითხრა, ყველაფერი გვაქვს, ტრანსპორტი არ გვყოფნის და თუ კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — შ. თუმბანიძე) მას გამოყოფს, კარგი იქნებაო. თურმე კოლმეურნეობას არ აქვს შესაძლებლობა საკუთარი ტრანსპორტით ატაროს წყალი და პროდუქტები. მაშინ თვით რაიკოოპერატივის თავმჯდომარეს „იკისრა“ ამ ფუნქციის შესრულება. დარწმუნებული ვართ, მახოელი, თხილნარელი, ახალსოფლელი მეჩაიეების სამართლიან მოთხოვნას და დანაპირებს ვ. აბაშიძე შეასრულებს და რედაქციას აცნობებს.

თხილნარელი მეჩაიეები წლეულს 1350 ტონა ჩაის ფოთოლს მოკრეფენ. პლანტაციები სანიმუშოდ აქვთ მოვლილ-დამუშავებული. დილით ადრე გამოდიან ჩაის საკრეფად და გვიან ღამეს ამთავრებენ მუშაობას. მიუხედავად ასეთი შემართებისა, კოლმეურნეობის ყველა ბრიგადა და რგოლი რიდი უსწორებენ მხარს მოწინავეებს. მათ ტემპის გაძლიერება მართებთ. განსაკუთრებით ითქმის ეს პირველი ბრიგადის პირველ და მეორე რგოლებზე. მათ სამექანიზაციო ჩაი აქვთ საკუთრად გამოყოფილი და ერთი დღის დაყოვნებაც კი ხარისხს გაუარესებას გამოიწვევს.

დავძლიოთ ავდრით გამოწვეული ჩამორჩენა, გავაძლიერთ კრეფის ტემპი, რაოდენობასთან ერთად ხარისხიც გავაუმჯობესოთ — ასეთი დევიზით შრომობენ დღეს სახელოვანი ხელვაჩაურელი მეჩაიეები და როგორც ყოველთვის, წლეულსაც მიაღწევენ წარმატებას.

გ. ნოდია,
მ. გორგილაძე.

ზუგდიდის რაიონის რუხის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალების შესრულებაში ჩამორჩა. ამიტომ ჩქარობენ მეჩაიეები, დაძლიონ ჩამორჩენა.

სურათებზე: ფოთლის ხელით მკრეფავები ბეჯითობენ; სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

ს. თევზაძის ფოტო.

გარდაქმნის კრიტერიუმია დისციპლინა

(დასასრული)

უფრო მეტ წარმატებას მიაღწევენ სამართალდაცვითი ორგანოები წესრიგისა და კანონიერების დამყარებაში, მით უფრო მეტი ადამიანი გაჩუყება, დაუჯერებს, დაეხმარება მათ. ძალთა ასეთი შეკრება ყველანაირ ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრის საიმედოობის გარანტია.

და ეს თითოეულმა კარგად უნდა შეიგნოს. ჯერჯერობით კი ზოგ-ზოგები, მათ შორის წესრიგის დამცველთა შორისაც, ცდილობენ დაბრკოლება შეუქმნან გარდაქმნის შეუქცევად პროცესს. ყველა ანტიპოდური ფსიქოლოგიის მატარებელი როდია გამოვლენილი და გაუვნებლებული. ზოგი შეინიღბა და თავის დროს ელის: უდარდელად ცხოვრობს — იმდენი წაგლეჯა და დაგროვა, რომ შეილიშვილებსაც ეყოფა. სხვები ლამობენ წარმოების დეზორგანიზაციას. ამის შედეგები იგრძნობა კიდევ განსაკუთრებით მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროებში, აგროსამრეწველო კომპლექსში. ესე იგი სწორედ იმ უბნებზე, სადაც მუშაობაში ნაკლოვანებანი უშუალოდ მოსახლეობის ინტერესებს ეხება. სამწუხაროდ, ამას სათანადო შეფასებას ყოველთვის როდი აძლევენ როგორც თანამდებობის პირები, ისე თვით მოქალაქენი. უფრო მეტიც, ცნობილია შემთხვევები, როცა საზოგადოებრიობის ცალკეული წარმომადგენელი, ზოგჯერ მეტად ავტორიტეტიანებიც, ხელს აფარებენ სამართალდამრღვევებს ფსევდოჰუმანური მოსაზრებით, ცდილობენ შეამსუბუქონ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული. ასეთი დამოკიდებულება ხომ დამნაშავეებში განამტკიცებს განუკითხობის გრძნობას, უბიძგებს მათ პარაზიტული ცხოვრების წესისაკენ.

ფარი გამორჩენის წინააღმდეგ

მეტი წილი კანონსაწინააღმდეგო მოქმედების საბოლოო შედეგია უშრომელი შემოსავალი. სწორედ იგი განსახიერებს ბევრ ნეგატიურ მოვლენასა და დანაშაულს, კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას. გასაგებია, რომ გამორჩენის წყაროს აღკვეთა მარტო ადმინისტრაციული ორგანოების საქმე არ არის. აქ თანაიანთი სიტყვა უნდა თქვან საფინანსო, საბანკო, სხვა მაკონტროლებელმა სამსახურებმა, ეკონომიკურმა უწყებებმა. მაგრამ ძირითადი ტვირთი მიიხეკისრებათ მართლწესრიგის მსახურთ, რომლებმაც უნდა გაძლიერონ პროფილაქტიკური საქმიანობა, დროზე შეაჩერონ ადამიანები, არ მისცენ მათ საშუალება გადაბიჯონ კანონის ზღვრბლს. რაც შეეხებათ მექრთამეებს, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს და სხვა ანგარების მოყვარულთ, მათ არ ექნებათ არავითარი დანდობა. მინაგან საქმეთა ორგანოების უპირველესი პოლიტიკური ამოცანა ხომ ის არის, რომ აღმოფხვრან ყოველივე, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტურ წყობას, ეკონომიკურ და ზნეობრივ ზიანს აყენებს საზოგადოებას.

უშრომელი შემოსავალი მეტად ტევადი ცნებაა. იქ ფესვგადგმულია მრავალი ბოროტება. იგი იწვევს სეროზულ სოციალურ დეფორმაციებს, პიროვნების დეგრადაციას. გამორჩენის მოყვარულთა წინააღმდეგ სამეფო ფარი შეიძლება უზრუნველყოს მილიციის მუშაობაში ორი მთავარი მიმართულების მჭიდრო ურთიერთკავშირმა. ერთი მხრივ, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაძლიერდეს თვით სამინისტროს სისტემაში, მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობის დარგებში, ცხოვრების ყველა სფეროში.

სახალხო დოვლათის დამტაცებელთა წინაშე აღმართულ კედელში ბზარები მანამ იქნება, სანამ არასაუწყვანო დაცვის ხელმძღვანელობა ბოლოს არ მოუღებს დამნაშავე ელემენტებთან თავისი თანამშრომლების კავშირის ფაქტებს. ამიტომ საბოლოოდ უნდა განთავისუფლდნენ თანამდებობიდან ობიექტების დაცვის უფროსები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს, პირები, რომლებიც არ იმსახურებენ ნდობას.

არაერთხელ სამართლიანად გაუკრიტიკებიათ სახავტონსპექციის ხელმძღვანელობა. სამწუხაროდ, კარდინალური ცვლილებები აქ ჯერჯერობით არ იგრძნობა. და ეს მარტო სიგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლას როდი ეხება. საავტომობილო ტრანსპორტით გადააქვთ პრაქტიკულად ყველაფერი, რაც სახელმწიფოს წაგლეჯეს, სისპეკულაციოდ გათვალისწინებული სამრეწველო ნაწარმი და სოფლის მეურნეობის პროდუქტები. პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ სახელმწიფო ავტოტრანსპორტს. არის იმის ბევრი ფაქტი, რომ კერძო პირები იძენენ და ექსპლოატაციას უწევენ ტრაქტორებსა და სატვირთო მანქანებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ყველამ იცის, სახელმწიფო ავტოინსპექციის, სპეციალური სარეგისტრაციო განყოფილებების თანამშრომლების და უბნის ინსპექტორების გარდა.

ბოლო დროს მნიშვნელოვნად გააქტიურდა სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის და გამოძიების აპარატის საქმიანობა. ვერ უარვყოფთ, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მექრთამეობის გამოვლენილი ფაქტების რიცხვი. მაგრამ ბრძოლის მახვილი ყოველთვის როდია მიმართული ბოროტების მთავარი მატარებლების, შეწერილისა და გამოძალვის ორგანიზატორთა წინააღმდეგ. ზოგიერთ ქვეგანყოფილებაში, მაგალითად, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, გატაცებული არიან ნაკლებმნიშვნელოვანი დარღვევების გამოვლენით, და სულაც არ რეაგირებენ „ოპერატიულად მსხვილ დარღვევებზე, მაშინ როცა სწორედ პირწავარდნილი საქმოსნების მხილება ახდენს რეალურ გავლენას ვითარების გაჯანსაღებაზე.

არ მცირდება სისხლის სამართლის საქმეების, განსაკუთრებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამოძიების დაბალი ხარისხის გამო საჩივრების ნაკადი. ყველასთვის ცნობილია დაწნაშავის დაცვის „ტექნოლოგია“, როცა ზოგჯერ გამოყენებულია მოწმეთა, დაზარალებულთა, სახელმწიფო ავტოინსპექციის მოკვლევის, გამოძიების მუშაკთა მოსყიდვა და შესაბამისად ხდება საქმის მასალების ფალსიფიკაცია. ხშირად იგი ათობით ტომს შეიცავს. ჭეშმარიტება კი დაუდგენელი რჩება.

შინაგან საქმეთა ორგანოების უშუალო კონტაქტები მოსახლეობასთან უბნის ინსპექტორის მეშვეობით მყარდება. მუქთახორობის, სპეკულაციისა და უშრომელი შემოსავლის სხვა წყაროების წინააღმდეგ ბრძოლა მისი პირდაპირი მოვალეობაა. მაგრამ უბნის ინსპექტორი, რომელმაც ყველაფერი უნდა იცოდეს და ყველას იცნობდეს, დღეს არადამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის ფუნქციებს. უმნიშვნელოა მისი როლი მუქთახორობის, აკრძალული რეწვის, კანონის გვერდის ავლით კერძომეწარმეობითი საქმიანობის აღკვეთაში. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველომ, რომლის უწყებაშიც ამირიდან გადადის უბნის ინსპექტორთა სამსახური, დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს მისი განმტკიცების, მოსახლეობაში ავტორიტეტის ამაღლების ღონისძიებანი.

ფრთხილად: ადამიანის ბედი

უფროსელ შემოსავალს მჭიდროდ უკავშირდება ლოთობისა და ნარკომანიის პრობლემები, ვინაიდან მათ, როგორც წესი, საფუძვლად უდევთ უპატიოსნო გზით ნაშოვნი ფული. ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის მიღების შემდეგ შემცირდა ზოგიერთი სახეობის სამართალდარღვევა.

მაგრამ ამ სოციალური ბოროტების სრულ აღმოფხვრაზე ჯერჯერობით ადრეა ლაპარაკი. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი არასაკმარისი კონტროლი განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. აქ გრძელდება ღრეობები, რომლებიც ხშირად იწვევს მთვრალთა დებოშებს ტრაგიკული შედეგით, როგორც ეს მოხდა ამას წინათ რესტორან „ბეთანიაში“. და ეს არც არის გასაკვირი, თუ გვითვალისწინებთ, რომ არცთუ იშვიათად ღრეობათა თანამონაწილენი, განსაკუთრებით გარეუბნების რესტორნებში, სამწვადეებსა და სასაუზმეებში, თავად მილიციის მუშაკები ხდებიან. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ყველა ასეთი ფაქტი არ ვლინდება და საქვეყნოდ ცნობილი არ ხდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილებამ, პარტკომმა, კადრების სამმართველომ, ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა უნდა გაამკაცრონ მომთხოვნელობა პარტიული და სამსახურებრივი დისციპლინის დამრღვევთა მიმართ. მხოლოდ საკუთარ სახლში წესრიგის დამყარებით შეიძლება ნამდვილად ეფექტიანად ვიბრძოლოთ ფხიზელი ყოფისათვის.

განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, კვლავ მწვავედ დგას ნარკომანიის პრობლემა. თავს იჩენს, უწენარეს ყოვლისა, სისხლისსამართლებრივი სამძებროს აპარატის ინერტულობა ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. დამყარებული არ არის სათანადო კონტაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, კომკავშირთან, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან. გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ გავაათკეცოთ ერთობლივი მეცადინეობა ნარკოტიკული ბანგის წინააღმდეგ.

ქურდებისა და სხვა დანაშაულებრივი ჯგუფების ორგანიზატორები ყოველი საშუალებით ცდილობენ თავიანთ ქსელში მოაქციონ ახალგაზრდობის მერყეები ნაწილი. ესენი არიან დეკლასირებული ელემენტები, რომლებმაც შეგნებულად დააყენეს თავი კანონგარეშე, და მათ შესაბამისად უნდა მოვიქცეთ. აქ მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება შრომა-გასწორების დაწესებულებებში. ქურდი რეციდივისტების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ სისტემაში ზედამხედველობის გამოსასწორებლად გადაიდგა პირველი ნაბიჯები. მაგრამ ეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში წესრიგის დაცვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის უდიდესი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია.

ცვლილებათა სიო სულ უფრო აშკარად იგრძნობა შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში. მაგრამ ჯერჯერობით გარდაქმნა შეიხო ძირითადად სამინისტროს ცენტრალურ აპარატს. მას არ მიუღწევია ძირეულ რგოლებამდე. თითოეულ თანამშრომლამდე, რომლებიც საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავენ სწორედ მილიციის მუშაობის საერთო დონესა და ეფექტიანობას. ამასთან დაკავშირებით უნდა გავზარდოთ სამსახურების პასუხისმგებლობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისათვის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის დონისათვის დაქვემდებარებულ ორგანოებსა და ქვეგანაყოფებში.

ოჯახური იჯარა

ქვაკუთხედი—აგრომრეწვი

ოჯახური იჯარა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების მარტივი, მაგრამ მეტად ეფექტიანი სისტემაა, რომელიც ხორცელდება შიგასამეურნეო ანგარიშის პრინციპების საფუძველზე. მისი არსი ის არის, რომ მუშაკთა შედარებით მცირე ჯგუფი ან ერთი პიროვნება მეურნეობის ადმინისტრაციასთან ხელშეკრულების საფუძველზე კისრულობს ვალდებულებას სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან ან პირუტყვის გარკვეული სულადობიდან მიიღოს სათანადო ხარისხის და განსაზღვრული რაოდენობის პროდუქცია, ხოლო ადმინისტრაცია თავის მხრივ ვალდებულია დაკმაყოფილოს მოიჯარე ოჯახი აუცილებელი მატერიალური საშუალებებით, შეუქმნას ნორმალური სამუშაო პირობები და შრომა აუნაზღაუროს წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად წლის დასაწყისში საწარმოო გეგმით დადგენილი შრომის ანაზღაურების სტაბილური შეფასებების, ნორმატივების საფუძველზე.

ოჯახური, ინდივიდუალური გაპიროვნების შედეგად ძლიერდება შრომის დისციპლინა და პასუხისმგებლობა, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი მეურნეობების წარმოების ზრდის ტემპის მკვეთრ დაჩქარებას, თვითღირებულების შეშცირებას და ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან მატებას. მაგალითად, მცხეთის რაიონის საგურამოს საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშაკის, გოგიძეების ოჯახს, სადაც ექვსი წევრია, ხელშეკრულებით 2,9 ჰექტარზე მოჰყავს პამიდორი და 1,4 ჰექტარზე—კომბოსტო. გეგმა ითვალისწინებდა 72,5 ტონა პამიდვრის მოყვანას, ესე იგი ჰექტარზე საშუალოდ 250 ცენტნერს, ფაქტობრივად მიღებულია 150 ტონა, ესე იგი ჰექტარზე საშუალოდ 517 ცენტნერი, რაც საგეგმო მოსავლიანობას ორჯერ და მეტად აღემატება.

ოჯახური იჯარის წესით მეურნეობის 22,8 ჰექტარ პამიდვრის ბოსტნიდან მიღებულია სულ 562 ტონა მოსავალი, ანუ საშუალოდ ჰექტარზე 246,5 ცენტნერზე მეტი; ჩვეულებრივი წესით მუშაობის დროს კი 22,2 ჰექტარი პამიდვრის ბოსტნიდან მიღებულია სულ 152 ტონა პამიდორი ანუ საშუალოდ ჰექტარზე 68,5 ცენტნერი, რაც 3,6-ჯერ ნაკლებია ოჯახური იჯარის წესით დამუშავებული ნაკვეთებიდან მიღებულ საშუალო მოსავლიანობაზე.

ოჯახური იჯარით ნაპატრონებ 7,7 ჰექტარზე მიღებულია 325 ტონა კომბოსტო, საშუალოდ ჰექტარზე — 422 ცენტნერი, ხოლო ჩვეულებრივი წესით დამუშავებულ 20 ჰექტარზე — 79 ტონა, ანუ საშუალოდ ჰექტარზე — 40 ცენტნერი, რაც 10,2-ჯერ ნაკლებია ჩვეულებრივი წესით დამუშავებული ნაკვეთებიდან მიღებულ მოსავლიანობაზე.

მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში იჯარის წესით 217,5 ჰექტარი პამიდვრის ბოსტნიდან ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა 141 ცენტნერი იყო, ხოლო 74,5 ჰექტარი გაუპიროვნებელი ფართობიდან საშუალო მოსავლიანობა — 53 ცენტნერი.

ოჯახური იჯარის წესის დამკვიდრების შედეგად მკვეთრად გაძლიერდა პრშრომელთა პასუხისმგებლობა და მათი ოჯახის მთელიანი შემოსავალი. მაგალითად, ვაჟა და მარიამ თინიაშვილებმა, რომლებიც 0,52 ჰექტარ პამიდვრის და 0,38 ჰექტარ ნივრის ნათესს უვლიდნენ, შრომის საზღაურად 3.179 მანეთი მიიღეს; სულ მეურნეობაში შრომით მათი შემოსავალი 8.007 მანეთი იყო.

აქ მოყვანილი მაგალითები დამაფიქრებელია. ისინი იმაზე მეტყველებს, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობა გულგრილად ეკიდება შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების მოწინავე ფორმების დანერგვას, რაც დიდალი სახელმწიფო სახსრების განიავებას იწვევს.

გალავნის საბჭოთა მეურნეობაში შარშან ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 40 ცენტნერი იყო. ამასთან 22 კაცს ოჯახური იჯარის წესით გაპიროვნებული ჰქონდა 20 ჰექტარამდე ვენახი, საიდანაც 183 ტონა ყურძენი მიიღეს, ანუ საშუალოდ ჰექტარზე 95 ცენტნერი, რაც თითქმის 2,5-ჯერ აღემატება გაუპიროვნებელ ნაკვეთებზე მიღებულ მოსავლიანობას.

გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვმოსავლიანობას ისიც განსაზღვრავს, რომ მოსავლის აღების პერიოდში დანაკარგები ერთობ მცირდება. გოგიძეების ოჯახმა უხვი მოსავალი თიმეორისადმი დაპირისპირება უსაფუძვლოა. ოჯახური იჯარის დანერგვით დიდ წარმატებებს მიაღწიეს უნგრეთში, ბულგარეთში, ჩინეთში. ამასთან დავძენთ, რომ აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელება და მისი სისტემატური სრულყოფა.

აღსანიშნავი და სასურველი ფაქტია ისიც, რომ ოჯახური იჯარით შრომის დროს კომლის არასრულწლოვანი და საპენსიო ასაკის წევრებიც ებმებიან საზოგადოებრივ შრომაში.

ნაკვეთების ინდივიდუალური (ოჯახური) გაპიროვნება ხელს უწყობს საზოგადოებრივი დოვლათის დატაცებისაგან დაცვას, რადგან ყველა თავისი შრომით შექმნილი დოვლათის აქტიური დამცველი და აღმრიცხველია. ამასთან მათ იციან, რომ მათი შრომის ანაზღაურება შექმნილი დოვლათის რაოდენობასა და ხარისხზეც არის დამოკიდებული. ამიტომ ოჯახის ყველა წევრი ცდილობს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტები მოიწიონ.

ეს გარემოება მკვეთრ გარდატეხას შეიტანს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში, კოლექტივის ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებაში, შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოთხოვნების თანამიმდევრულ განხორციელებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნაკვეთების (პირუტყვის) ოჯახებისათვის მიმაგრების დროს შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვნად შეეკვეცროთ სამმართველოს აპარატი, შევამსუბუქოთ აღრიცხვის მუშაკთა შრომა, რადგან აუცილებელი აღარ იქნება ყოველდღიური შრომის აღრიცხვა. ავანსი კი შეიძლება გაიცეს მოცემული კულტურების მოვლისათვის საჭირო დროის (ნორმატივების მიხედვით) პროპორციულად; საბოლოო ანგარიში კი შრომის საბოლოო შედეგებთან იქნება დაკავშირებული.

ოჯახური (ინდივიდუალური) წესით ნაკვეთების გაპიროვნების დროს გეგმაზომიერი ხასიათი მიეცემა კაცდღეების აღრიცხვას, თითქმის მთლიანად შეიძლება მოისპოს წამატებანი. გაუპიროვნების შემთხვევაში ბრიგადირებს, რგოლის ხელმძღვანელებს შესაძლებლობა აქვთ კაცდღეები ჩაუწერონ იმათაც, ვისაც სულ არ უმუშავია ან ნაკლებად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში. ასეთ პირობებში დიდძალი სახსრები ნაოგდება საზოგადოებრივ მეურნეობებში, ძვირდება პროდუქცია და მკვეთრად მცირდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

ოჯახური იჯარა აიძულებს ყველას ჩაებას საზოგადოებრივ შრომაში, რადგან შეუძლებელი გახდება სხვისი შრომის ხარჯზე „ოილად“ გასვლა. ასეთი ადამიანებისათვის ჩაიკეტება ის ხვრელი, საიდანაც ისინი საზოგადოებრივ სახსრებს ანიავებენ.

შრომის ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების დროს ბრიგადირები, აღრიცხვის დარგის მუშაკები, ზვრილმან მეურეეობას ირიან გადაყოლილი, რაც მათ შესაძლებლობას არ აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების მეთოდების სრულყოფასა და ფიზიკურ შრომაში.

როდესაც ბრიგადული და ოჯ

ინფორმაციის ფაქტები • მოვლენები ერთიანი

სიმართლის თვალსაზიერი

სიტყვა „გარდაქმნამ“ არაჩვეულებრივი შინაარსობრივი დატვირთვა მიიღო XXVII ყრილობაზე და ყრილობის შემდეგ. იგი ყველა ჩვენგანის საქმიანობას გარკვეული თვალსაზრისით რევოლუციური წინსვლის მოთხოვნის წინაშე აყენებს; კულისსმობს არა მარტო ტენპის მომატებას, არამედ მთელი ჩვენი ზოლვაწეობის გადახალისებას, თვისებრივად ახალი ეტაპის მიღწევას. რა თქმა უნდა, თავისთავად, გარდაქმნის იდეა, ჩვენთვის, მარქსისტებისთვის, არ არის მოულოდნელი რამ. გავიხსენოთ კ. მარქსის საყოველთაოდ ცნობილი თეზისი: „ფილოსოფოსები მხოლოდ განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ შეცვლილ იქნეს იგი“.

ყრილობაზე გამოყალიბებული გარდაქმნის კონცეფცია გულისხმობს უშუალოდ საქმის გაკეთებას ან ისეთი მსჯელობას, რომელიც განხორციელებისაკენ მიდის და, ამდენად, საქმიანი მსჯელობაც საქმეა. იგი მოითხოვს ჩვენს სფეროებში კონკრეტულად დაკონკრეტებას — რა არის გარდასაქმნელი. ზოგჯერ ისმის კითხვა: იქ, სადაც საქმე სანიმუშოდ იყო დაყენებული, რაღა არის გარდასაქმნელი? გარდაქმნის თანამედროვე გაგება მხოლოდ ნაკლოვანებებს, დარღვევებს როდი გულისხმობს. ეს ნიშნავს — რა აკლია საქმეს საბოლოო მიზნის მიღწევამდე. ამ მხრივ კი ჯერ ქვეყნად ძნელად თუ ვინმეს შეუძლია თქვას — უკვე ჭერს მივადექითო. მეცნიერულ-პედაგოგიურსა თუ სხვა სფეროებში ჩვენ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, 24 საათს მუშაობენ, ენერგიის დაუზოგავად ირჯებიან, ალბათ, ღირსებასთან ერთად, ეს, შრომითი ორგანიზაციის თვალსაზრისით, გარკვეული ნაკლიც არის. მაგრამ დღეს ჩვენ არ გვეგულვება სფერო, სადაც გარდაქმნის იდეა აქტუალური არ იყოს. ახლა უფრო დავაკონკრეტოთ საკითხი — როგორ გვესმის ეს აზრი ჩვენი უნივერსიტეტის იდეურ-აღმზრდელობითს სფეროში? რა არის აქ გარდასაქმნელი?

როდესაც, ვთქვათ, 25-კაციან სტუდენტურ ჯგუფში შეგდივართ, ჩვენ შეგიძლია მათ შორის შეკითხოთ საუკეთესონი, როგორც უმცირესობა. აი, ამ მცირერიცხოვანი რჩეული სტუდენტების დონეზე უნდა იყოს ყველა სტუდენტი. საამისო საფუძველი არსებობს. აქ უნდა მოდიოდნენ რესპუბლიკის სკოლის უნიჭიერესი კურსდამთავრებულები. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით, როცა მასობრივად ჩვენი სტუდენტების წიგნიერების, ეგმოვნების და, რაც მთავარია, ნაღდ სპეციალისტად ჩამოყალიბების მისწრაფებებს გადავხედავთ. ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში საჭიროა სტუდენტთა ლექციებზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, თავისთავად ბევრს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენი რამ გვაკლია ახალ მოთხოვნათა დონემდე, ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში შეიძლება დადიოდეს თუნდაც თითო-ოროლა ნარკომანი, — ეს ტრაგედიაა ჩვენი უმაღლესი სკოლისა, განგაშთ ერისა. მართლაც რომ გარდაქმნა, და არა უბრალოდ წინ წაწევა უშველის საქმეს.

ორ ათეულ წელზე მეტია, ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი კონფერენცია, წიგნი თუ წიგნაკი ეძღვნება ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. მატუალური სტატიები, ნოხსენებები, მოწოდებები — მოვსპოთ ნარკომანიაო, ნარკომანია კი იზრდება. ამიტომ ქადაგებაც ამ ავადსახსენებელი სენის წინააღმდეგ მოსაბეზრებელი გახდა. მაშინ, რა იმედით ვმსჯელობთ ამჯერად ამ თემაზე? ოპტიმიზმის საფუძველს ვხედავთ სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში, ყრილობის მუშაობის სტილსა და ტონში. ჩვენ ქვეყანაში, ცხოვრების ყველა რეგიონში მიმდინარე ბრძოლა წესრიგის დამყარებისათვის პასუხია ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებზე. ნარკომანიასაც, მიუხედავად იმისა, რომ ფეხმოკიდებულია ჩვენში, მაინც არ არის ლოკალური მოვლენა. ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის შრომითი თუ კულტურული მიღწევები ორგანულად უკავშირდება მთელი ქვეყნის მიღწევებს, ნაკლოვანებებიც ზოგჯერ საზიარო გვაქვს. ნარკოტიკული ნივთიერებები ძირითადად ჩვენში შემოაქვთ იმ მოძმე რესპუბლიკებიდან, რომელთა პარტიულ-დმინისტრაციული მუშაობა გაკეთდებულ, იქნა ყრილობაზე. ემოთქვეთ იქაურსა და ჩვენი რესპუბლიკის რეციდივებს. მაგრამ, ვიმეორებთ, მთელი ქვეყნის ასპაბით მიმდინარე პროცესები მოსპობს ყველა იმ რგოლს, რომელთა ერთიანობის ჯაჭვი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამ ავადსახსენებელი ფასადურების ფასაფრცელებლად. ეს შეიძლება იყოს უფრო დიდი ბოროტება, ვიდრე ის, რომ თავისი ხალხის მოწამვლის, ღალატის, გაცემისა და დაცემის საზღაურად მავანი და მავანი ჯიბეს ავსებდეს. რა თქმა უნდა, როგორც დავინახეთ, მილიციის, მედიცინის, აღზრდის დარგის მუშაკების გარჯა არასათანადო წესით და რიგით იყო წარმართული. ყველაზე უფრო გვიამედებს ის ფაქტი, რომ დაიჭრა „დიდი კაცის“ ხელუხლებლობის ტაბუ. ფარ-ხმალს ვყრიდით იქ, სადაც, გარკვეულ სოციალურ ჯგუფში, „დიდი კაცის“ შვილის საეჭვო მოქმედებას წავაწყდებოდით. ეს გვერდით ხომ სხვებიც დაჯავშნულნი ხდებიან. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ამით ჩვენ ჩრდილს ვაყენებდეთ თავისთავად ავტორიტეტს ან თანამდებობის პირებს. მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში არასდროს ასე პირდაპირ არ დასმულა შვილის აღზრდისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს დრომ და ვითარებამ მოიტანა. ნარკომანია ხომ ხშირად მატერიალურად ღონიერი ოჯახების „პრივილეგიაა“, — ძალიან ძვირი. ღირს ეს საშინელება.

თავიდათავი მრავალი უგვანობისა იქიდან მოდის, რომ ჩვენ ხშირად უკუღმა გვესმის ცნება „კარგი ცხოვრება“: უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა კრებაზე ბრძნულად თქვა: თუ გაიგე, რომ შენი ნაცნობის შვილი ნარკომანია, მშობელს სამძიმარი უნდა უთხრაო. ეს დიდი საცოდაობაა. ვისი შვილაც შეიძლება, უნდა ვუშველოთ, მაგრამ საზოგადოების მთელი ორგანიზმის მოწამვლას ისტორია არ გვაპატიებს; როგორც ვხედავთ, უკვე ზღვარს ჩავდგეთ.

შემთხვევითი არც ის იყო, რომ საქართველოს მწერალთა X ყრილობაზე ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა ქართველ მწერლებს ერთ უპირველეს საზრუნავად დასახა ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ-ხორციელი სიჯანსაღისათვის ბრძოლა, კერძოდ, ნარკომანის წინააღმდეგ შეურიგებლობის გაწყობის შექმნა.

ახლა კი ზოგიერთ მიზეზსაც გადავხედოთ. ყველა მიზეზის ჩამოთვლა-ანალიზი დიდად აღემატება ჩვენს შესაძლებლობას. დასმულ კითხვაზე პასუხს ცოტა შორიდან შემოვუვლით. ამ ოთხი ათეული წლის წინათ ეურხალისტმა დიდი სიამაყით აუწყა ერთერთ ჩვენს გულშემატკივარ ქართველოლოგს, რომ ქართველები უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების პროცენტით მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებლებით გამოირჩევიან; ქართველოლოგმა აღტაცების ნაცვლად სინანული გამოთქვა. ამ რაოდენობის ხალხისათვის ეს პროცენტი აშკარა დისპროპორციის მაჩვენებელიაო. საქართველოში დღეს ათიათასობით ექიმია, ცოტა რთული დაავადების შემთხვევაში, გულსადღალად რომ ვთქვათ, რამდენს ჩამოთვლით თითზე, ჩვენს ჯანმრთელობას რომ ნივანდობდით? ასევე ითქმის თითქმის ყოველი სპეციალობის მიმართ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ გვყავს, ვთქვათ, სახელოვანი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები და ა. შ. მაგრამ ერი რომ ნორმალური სოციალური რიტმით ვითარდებოდეს, მას ყოველგვარი შუშაკი სჭირდება. თუ ხალხს არ ეცოდინება ნაწვანილის მოყვანა, ხელოსნობა, დამლაგებლობა და სხვა, ცივილიზაციის პირობებში მისი დემოგრაფიული პერსპექტივა ერთობ დამაფიქრებელია. ჩვენ კი შრომის ზოგიერთი სახეობა ტაბუქმნილი გვაქვს. ბევრი დაიწერა ამის, შესახებ, იმის შესახებაც, რომ საქართველო თავისი დედაქალაქით თავკომბალას დაემსგავსა.

დღეს ნელ-ნელა ისმის მსჯელობა უმაღლესი სასწავლებლის კონტინგენტის რეალურ პერსპექტივაზე. ეს არავითარ მოულოდნელობას არ წარმოადგენს. ელემენტარული სოციალური თუ ეკონომიკური ნაჩვენებლებით რამდენიმე წლის წინათ თავისუფლად შეიძლებოდა იმის პროგნოზირება, რომ ცხოვრება ადრე თუ გვიან ნაღდ ანგარიშს მოგვთხოვდა. უმაღლესი სკოლის წინაშე სერიოზული პრობლემები დგას. ნურავინ იფიქრებს, ეს იყოს რაღაც იზოლირებული სფერო და სატკივარიც ვინმეს ვინმეზე ნაკლებად შეეხებოდეს. სტუდენტთა შესაბამისად პროფესორ-მასწავლებელთა კონტინგენტის მოთხოვნის მიხედვით განსაზღვრა ხდება არამარტო სადღეისო, არამედ სამერსპისო ინტერესების გათვალისწინებით. ცხადია, კონტინგენტის შემცირება გარკვეულ დარგებში - პროფესორ-მასწავლებელთა კონტინგენტსაც შეეხება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ქმნის რაიმე საგანგაშო ვითარებას. სოციალისტური სახელმწიფოს ჰუმანიზმი, განსხვავებით კაპიტალისტურისაგან, არ დაუშვებს უმუშევრობას. მოხდება გეგმაზომიერი განაწილება. მთავარი მაინც ის არის, რომ თითოეული სტუდენტის ადგილს თავისი ფასი და მნიშვნელობა ექნება.

ზ. გოგუაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი.

გარდაქმნის იდეის სულისკვეთებით

ალზრდის ზოგიერთი პრობლემა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით

— როგორ გვესმის ეს აზრი ჩვენი უნივერსიტეტის იდეურ-აღმზრდელობითს სფეროში? რა არის აქ გარდასაქმნელი?

ამ ოთხი ათეული წლის წინათ ეურხალისტმა დიდი სიამაყით აუწყა ერთერთ ჩვენს გულშემატკივარ ქართველოლოგს, რომ ქართველები უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების პროცენტით მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებლებით გამოირჩევიან; ქართველოლოგმა აღტაცების ნაცვლად სინანული გამოთქვა. ამ რაოდენობის ხალხისათვის ეს პროცენტი აშკარა დისპროპორციის მაჩვენებელიაო. საქართველოში დღეს ათიათასობით ექიმია, ცოტა რთული დაავადების შემთხვევაში, გულსადღალად რომ ვთქვათ, რამდენს ჩამოთვლით თითზე, ჩვენს ჯანმრთელობას რომ ნივანდობდით? ასევე ითქმის თითქმის ყოველი სპეციალობის მიმართ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ გვყავს, ვთქვათ, სახელოვანი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები და ა. შ. მაგრამ ერი რომ ნორმალური სოციალური რიტმით ვითარდებოდეს, მას ყოველგვარი შუშაკი სჭირდება. თუ ხალხს არ ეცოდინება ნაწვანილის მოყვანა, ხელოსნობა, დამლაგებლობა და სხვა, ცივილიზაციის პირობებში მისი დემოგრაფიული პერსპექტივა ერთობ დამაფიქრებელია. ჩვენ კი შრომის ზოგიერთი სახეობა ტაბუქმნილი გვაქვს. ბევრი დაიწერა ამის, შესახებ, იმის შესახებაც, რომ საქართველო თავისი დედაქალაქით თავკომბალას დაემსგავსა.

ეს ერთ-ერთი ფაქტორია. უფრო მნიშვნელოვანი, ალბათ, შრომის ეკონომიკის საკითხებში უნდა ვეძიოთ. ალბათ, დადგა დრო, გადაისინჯოს მთელი რიგი დარგები სამსახურებისა, სადაც უფრო უმაღლესი სასწავლებლის დიპლომია საჭირო, ვიდრე უმაღლესი განათლება. სასაუზმის დირექტორს თუ ეკონომისტის დიპლომი არ ედება ჯიბეში, ქვეყანა არ დაიქცევა. ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი სკოლა ცხოვრების პირადი კეთილმოწყობის მოწმობისათვის კი არა, ცოდნის, მეცნიერების დაუფლებისათვის უნდა იყოს მოწოდებული; ღღის წესრიგში დგას აგრეთვე ეუმაღლეს სასწავლებელში შესვლისათვის პრივილეგიების ზოგიერთი ფორმის უმართებულობა. მოწონავე მწველავი გოგონა მოდის უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ისტორიის სპეციალობით. ძლივს სწავლობს, საკუთარ თავსაც ტანჯავს და პროფესორ-მასწავლებლებსაც. ასე დავკარგეთ მწველავიც და ისტორიკოსის ერთი ადგილიც. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის ასე არ არის, მაგრამ თუ ნიჭიერი ახალგაზრდის ნაცვლად ჩვენ საბუთები მივიღეთ სამედიცინო ინსტიტუტში, კარგ დღეს დაგგაყენებს აქედან გამოსული ქირურგი.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კარგა ხანია მოგვიწოდებს მიეხედოთ მიტოვებულ სოფლებს, მამა-პაპათა ნაფუძარს. მაგრამ აქამდე ყველა ეს ღონისძიება ენთუზიაზმზე იყო აგებული. ამით ბევრი რამ გაკეთდა მაგრამ არსებითს ცვლილებას მაინც ვერ მივაღწიეთ. ეს იმიტომ, რომ საკითხი არ დამდგარა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტის დონეზე. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ყველაზე ცუდი ჰაერი საქართველოში თბილისშია. მაგრამ ჰაერის ფასი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ არის ისე მაღალი, რომ მის გამო სოციალურ-დემოგრაფიულ ცვლილებებს ველოდეთ. სოფლში კი, რაოდენ კეთილმოწყობილი აულტურულ-სპორტული ბაზებიც უნდა გვქონდეს, ჯერჯერობით ცხოვრების დონე და პირობები ვერ უპასუხებს ახალგაზრდის ნოსხოვნებს. ჩვენ ვლაპარაკობთ რეალურ ვითარებაზე. პირველ ყოვლისა, ეკონომიკური სტიმულირების საკითხები უნდა გადაწყდეს. შრომა შემოქმედებითი, ბარაქიანი უნდა გავხადოთ. ცხადია, მოწოდებებით აქ საქმე არ მოგვარდება. სწორედ სკკ XXVII ყრილობა გვაძლევს ამ პრობლემათა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტის ნათელ პერსპექტივებს.

ვ. გოგუაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი.

ზაფხული კურორტებზე

ბარის გაგრაში ფირმა

დამსვენებლებს, რომლებიც წელს ჩამოვიდნენ გაგრაში, არ შეეძლება ყურადღება არ მიექციათ, რომ ქალაქის ერთადერთ ცენტრალურ ქუჩაზე რამდენადმე იკლო ავტომობილების ნაკადმა, ხმაურმა და გამონაბოლქვმა.

საქმე ის გახლავთ, რომ მანქანების ნაწილი გვერდს უქცევს ახალ გაგრას ავტოსტრადისა და ბარიერების მეშვეობით, რომლებიც ამას წინათ ამოქმედდა.

ახლა გაჩაღებულია მუშაობა ბისი მეორე რიგის მშენებლობისათვის, რაც ხმაურისაგან, მტვრისაგან და გამონაბოლქვისგან იხსნის ველ გაგრას. მალე პირველ მომმარველს მიიღებს საყოფაცხოვრებო სახლი, რომელსაც საზეიმო ცერემონიების სასახლეც ექნება.

— ჩვენ, შეიძლება ითქვას, ველი გაგრელები ვართ, — გვეუბნება კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვიტალი სევასტიანოვი. — აი, უკვე მეხუთე წელია აქ ვისვენებთ. წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებით დარიანი აღმოჩნდა.

სტუმართმოყვარულად გაიღო ათობით ახლად შეკეთებული ჯანმრთელების კერის, სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის, ტურისტული ბაზის, კემპინგისა და მოტოოტელის კარი. მაგრამ განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა იმათთვის, ვინც უსაგზაროდ ჩამოვიდა: მათი დასვენების საქმეს ხელი მოჰკიდა ახალმა ფირმამ „დასვენებამ“.

— ოჯახთან ერთად ჩამოვედი, — უსაგზაროდ, და არ დაგიმალავთ, ეშუხდი, ვფიქრობდი, სად დავბინავდებოდით, რას ვჭამდით, როგორ ვიშოვიდით უკან წასასვლელ ბილეთებს, — გვეუბნება უფელი სტუმარი ლენინგე ოზოლინი. — ფირმამ ყოველმხრივ უზრუნველგვყო, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ამ ფირმამ სულ ორ წელიწადში დიდი პოპულარობა მოიპოვა. მისი თანამშრომლები ჩამოსულებს ვაგზლებში ხვდებიან, ადგილობრივ მოსახლეობისგან ნაქირავებ სახლებში ბინავებენ, აგვარებენ კვებისა და კულტურული დასვენების საქმეს, შინ მიართმევენ ხოლმე უკან დასაბრუნებელ ბილეთებს.

— შარშან, — გვეუბნება პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვალერი ფილია, — ფირმა 200 ათასზე მეტ უსაგზაროდ ჩამოსულს მოემსახურა. შემოსავალმა 832 ათასი მანეთი შეადგინა. ეს სახსრები კურორტის კეთილმოწყობას და დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესებას ხმარდება. და კიდევ ერთი რამ. წინათ ქალაქის მცხოვრებნი დამსვენებლებს ნაღდი ფულით, თვითნებურად დადგენილი ტარიფით ართმევდნენ საწოლის ფასს. ახლა ზუსტი ფასები დაწესდა. ფულს უნაღდო ანგარიშწორებით იღებენ შემნახველი სალაროების მეშვეობით, ამათ ანგარიშზე, ვინც ბინებს აქირავებს.

გ. ლებანიძე,
(„პრავდის“ კორ.).
„პრავდა“, 18. VII. 1986 წ.

სოციალისტურ ქვეყნებში

● ბულგარეთი

ინტეგრაცია ღრმავდება

სოფია. ბულგარეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის შეიქმნა პირობები სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც უწინარესად მიზნად ისახავს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებას 2000 წლამდე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შესაბამისად.

ეს აღნიშნულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის აქ დამთავრებული სხდომის საბოლოო დოკუმენტებში. ნათქვამია აგრეთვე, რომ ორივე ქვეყანა ახორციელებს ღონისძიებებს ელექტრონიკის, მიკროელექტრონიკის, მძიმე მანქანათმშენებლობის, ბიოტექნოლოგიის და სხვა პრიორიტეტულ დარგებში საწარმოთა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ოპერატიული თანამოქმედებისათვის.

● უნგრეთი

როგოტექნიკას — ფართო გზა

ბუდაპეშტი. მეფოლადეთა კარგ თანაშემწეებად იქცნენ რობოტები და მანიპულატორები, რომლებიც დაყენებულია ჩიპელის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში.

ჩიპელის საწარმოებში წარმოების რობოტიზაცია ახლა ხორციელდება პერსპექტიული პროგრამის შესაბამისად, რომლის მიზანია რობოტექნიკის თანამედროვე საშუალებების ფართოდ გამოყენება, წარმოების ავტომატიზაციის დონის ამაღლება, მუშაკთა შრომის შემსუბუქება. ყოველივე ამან განსაკუთრებული ამოცანა დაუსახა ქარხნის კონსტრუქტორებს. ამას წინათ ჩიპელის სპეციალისტებმა შექმნეს ორი ახალი ტიპის სამრეწველო რობოტი, რომლებსაც ფართოდ გამოიყენებენ ჩიპელის მანქანათსაშენებელ ქარხანაში. ისინი გამოირჩევიან მართვის სიმარტივით, საიმედოობით, ოპერაციების შესრულების დიდი სიზუსტით.

მომდინარე ხუთწლედში უნგრეთში რობოტების შექმნისა და მათი წარმოებაში დანერგვისთვის გამოყოფილია 250 მილიონ ფორინტზე მეტი. სადღეისოდ რობოტებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქვეყნის ისეთ საწარმოებში, როგორიცაა ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი, „განც-მავაგის“ მანქანათსაშენებელი ქარხანა, დებრეცენის გოგორწყვილების კომბინატი.



ქალაქი უსტი-ნად-ორლიცი ჩეხოსლოვაკიის თავისებურ საფეიერო დედაქალაქად ითვლება. აქ მხარდამხარ შრომობენ ბამბის ქსოვილების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ამ დარგის მანქანების მწარმოებელი ქარხნის „ელიტექსის“ და ჩეხოსლოვაკიაში უდიდესი ფაბრიკის „პერლის“ კოლექტივები.

სურათზე: „პერლის“ საამქროებში ცდიან ახალ მრავალმაქოიან საქსოვ დაზგებს, რომლებიც შექმნილია ბამბის ქსოვილების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში.

ჩტკ-საკდესის ფოტო.



მუკრანის ნავსადგურში, რომელიც ბალტიის ზღვაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კუთვნილ რიუგენის კუნძულზე მდებარეობს, გრძელდება ახალი სატვირთო ბორნის გაშოცდა, რომელსაც „მუკრანი“ უწოდეს. მის ორ გემბანზე ეტევა 108 საკვირთო სარკინიგზო ვაგონი, რომლებსაც აქედან 48 საათში კლაპეიდაში ჩაიტანენ. რეგულარული მიმოსვლის ხაზის გახსნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურებს შორის გათვალისწინებულია ამა წლის ოქტომბრისათვის.

სურათზე: საკვირთო ბორანი „მუკრანი“.

ადნ-საკდესის ფოტო.

● გდრ

ტურიზმის მოყვარულთათვის

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შუა ტურისტული სეზონია. ტურიზმის მოყვარულთათვის ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილია 500-ზე მეტი სპეციალურად მოწყობილი კემპინგი, სადაც 400 ათასი ადგილია. ყოველწლიურად ტურისტულ კარვის ქალაქებში ორ მილიონამდე კაცი ატარებს თავს.

დიდად პოპულარულია კემპინგები წყალსატევების ნაპირებზე. ისინი ყველაზე მეტია პოტსდამის ოლქში. ყველაზე ტევადია კემპინგები უზედომის კუნძულზე ბალტიის ზღვაში და დაბა ბანზინში (როსტოკის ოლქი). ყოველ მათგანში ერთდროულად შეიძლება განლაგდეს 8 ათასამდე სტუმარი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტურისტული ობიექტების ქსელის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იმაზე, თუ როგორ გაატარა შვებულება კაცმა ან როგორ არის ორგანიზებული დასვენება, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია მშრომელთა საწარმოო წარმატებები, მათი წვლილი სახელმწიფო მასშტაბის ამოცანათა შესრულებაში.

● ინდოეთი-პაკისტანი

პროვოკაციები კონტროლის ხაზზე

დელი. პაკისტანი განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს კონტროლის ხაზზე, რომელიც მის მიერ ოკუპირებულ ჯამუსა და ქაშმირის შტატის ნაწილს ჰყოფს ინდოეთის დანარჩენი ტერიტორიისაგან. როგორც გაზეთი „ნიუს ტუდეი“ იუწყება, უკანასკნელ თვეში პაკისტანის მხედრიონს არაერთგზის დაუშენია ცეცხლი ინდოეთის ჯარების პოზიციებისა და პუნჩის სექტორში დასახლებული პუნჭტებისათვის, რის შედეგადაც არის მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი.

ძლიერდება აგრეთვე პაკისტანის საომარი მზადება უშუალოდ კონტროლის ხაზის ახლოს. გაზეთი, რომელიც იმოწმებს ოფიციალურ წყაროებს, აღნიშნავს, რომ ამას წინათ აშეკრიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით ქალაქების რავალკოტისა და მუზაფარაბადის ახლოს აშენებულ სამხედრო აეროდრომებზე განალაგეს ახალი თანამედროვე რადიოსალოკაციო დანადგარები. ამ აეროდრომებს, აღნიშნავს „ნიუს ტუდეი“, შეუძლიათ მიიღონ ფ-16 ავიაგამანადგურებელი ბომბმდამშენები, რომლებსაც ვაშინგტონი ისლამაბადს აწვდის სამხედრო-ეკონომიკური გარიგების ფარგლებში.

ადგილობრივი პრესის აზრით, განუწყვეტელი შეიარაღებული პროვოკაციები ნიღბავენ ინდოეთის ტერიტორიაზე პაკისტანის სპეცსამსახურების აგენტურის — ჯამუშების, ტერორისტებისა და დივერსანტების გადასხმას. ამ დღეებში ინდოეთის უშიშროების ძალებმა ჯამუსა და ქაშმირის შტატში დაუპატიმრეს სხვადასხვა აკრძალული ანტიეროვნული ორგანიზაციის ასზე მეტი წევრი, რომელთა წინამძღოლები პაკისტანის მხარდაჭერით ცდილობენ პროვოკაციულად მოაწყონ ახალი შეტაკებანი რელიგიურ-თემურ ნიადაგზე.

აქტუალური ინტერვიუ

დიალოგი განამტკიცებს ურთიერთგაგებას

ლონდონი. საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის მზარდი კავშირი სხვადასხვა დარგში ხელს უწყობს ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებას, განაცხადა „დიდი ბრიტანეთი — სსრ კავშირის“ ასოციაციის დირექტორმა ჯონ რობერტსმა.

საგანგებო კორესპონდენტთან საუბრისას მან ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანაში დღენიადაგ იზრდება ინტერესი საბჭოთა ხალხის ცხოვრების, მისი მიღწევების, კულტურისადმი. ამაში ზვლილი მოუძღვის ასოციაციასაც, რომელიც 1959 წელს შეიქმნა.

ორგანიზაციის ფილიალები აქვს შოტლანდიაში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში. იგი ქვეყნის პრაქტიკულად მთელ მოსახლეობას მოიცავს, თქვა შემდეგ ჯ. რობერტსმა. ასოციაციის წევრები არიან სხვადასხვა პროფესიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები, რომელთაც აერთიანებთ სურვილი, რაც შეიძლება უკეთ გაიცნონ საბჭოთა ხალხი და გაუგონ მას. ამ მიზნით ჩვენ ვაწყობთ გამოფენებს, სემინარებს, კინოჩვენებებს, შეხვედრებს საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებთან, შექმნილი გვაქვს რუსული ენის შემსწავლელი კურსები. ასოციაცია გამოსცემს ჟურნალს „ბრიტანეთი-სსრ კავშირი“.

ჩვენი ორგანიზაციისათვის დიდი მოვლენა გახდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან თანამშრომლობის შესახებ მიმდინარე წლის მაისში დადებული შეთანხმება, აღნიშნა ჯ. რობერტსმა. მიღწეულია მორიგება ბრიტანელი და საბჭოთა მწერლების რეგულარული შეხვედრების შესახებ, გათვალისწინებულია მათი თემატიკის გაფართოება, დელეგაციებისა და ნაბეჭდი მასალის გაცვლის გაჯანსაღება.

საბჭოთა კავშირი დიდი თეატრალური სახელმწიფოა, და ჩვენ ყველანი მოუთმენლად მოველით სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის გასტროლების დაწყებას, აღნიშნა ასოციაციის დირექტორმა. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების დიდი მოვლენა გახდება. ვფიქრობ, საბჭოთა მაყურებელიც ინტერესით გაეცნობოდა ინგლისის წამყვანი თეატრალური კოლექტივების ხელოვნებას. ჩვენი ერთ-ერთი უახლოესი ამოცანაა გაცვლის გაფართოება ამ დარგში.

დასასრულ ჯ. რობერტსმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის დიალოგი პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს და ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგების განმტკიცებას.

ყველა იმედი რომ გამართლდეს

ბრიტანეთის მშვიდობის ასამბლეის განცხადება

ლონდონი. განიარაღება და მშვიდობიანი თანაარსებობა ბირთვული კატასტროფისაგან მსოფლიოს ხსნის ერთადერთი გზაა, და ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობაში გაუმჯობესებას, რომელიც შეინიშნება დიდ ბრიტანეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის შედეგად. ეს ნათქვამია ბრიტანეთის მშვიდობის ასამბლეის აქ გავრცელებულ განცხადებაში.

მაგრამ ამ ვიზიტთან დაკავშირებული ყველა იმედი რომ გამართლდეს, ლონდონმა მთელი რიგი კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას და უწინარეს ყოვლისა, მიიღოს სსრ კავშირის წინადადება ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმის დაწესების შესახებ, აღნიშნულია დოკუმენტში. ბრიტანეთის მთავრობამ აგრეთვე უნდა გაიაზროს „ტრაიდენტის“ პროგრამა, რომლის განხორციელება სრულიადაც არ უწყობს ხელს 2000 წლამდე მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის საბჭოთა პროგრამის რეალიზაციას. ინგლისმა, ხაზგასმულია განცხადებაში, უარი უნდა თქვას „ვარსკვლავეთის ომების“ ამერიკულ პროგრამაში მონაწილეობაზე, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციას.

დოკუმენტში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას.

● აშშ

აღუთქვეს დახმარება

ვაშინგტონი. ისლამაბადს შეუძლია ჰქონდეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-ეკონომიკური მხარდაჭერის იმედი, ხანამ პაკისტანის ტერიტორია დემოკრატიული ავღანეთის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის პლაცდარმია. ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეიგანისა და შეერთებულ შტატებში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული პაკისტანის პრემიერ-მინისტრის მ. ხ. ჯუნეჯოს აქ გამართული მოლაპარაკების ლაიტმოტივი.

ანტისაბჭოური და ანტიავღანური ჟორებით აღსავსე სიტყვაში მოლაპარაკების წინ ამერიკის ადმინისტრაციის მეთაურმა თქვა, რომ „პაკისტანი ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორია“. შეერთებული შტატები, განაცხადა მან, კვლავ ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს მას, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაში.

თეთრი სახლი, პრესის მონაცემებით, აპირებს კონგრესს მოსთხოვოს ოთხ მილიარდზე მეტი დოლარი, ზია-ულ-ჰაკის რეჟიმთან მორიგი მილიტარისტული გარიგებ

ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲡ ᲒᲐᲕᲘᲚᲔᲑᲓᲔᲗ...

ᲪᲝᲓᲕᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ ᲛᲘᲖᲘᲖᲘᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲚᲘᲡᲐᲘᲗᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის მკითხველს უთუოდ ეხსომება ქვაბგრელის ტრაგედია. 1985 წლის 13 ნოემბრის „კომუნისტში“ ვრცლად იყო მოთხრობილი ამაზე. მაშინ მკითხველს მხოლოდ ამ სამწუხარო ფაქტს ვაუწყებდით და ვუამბობდით გორის რაიონის სოფელ ქვაბგრელის კოლმეურნეობის თავკაცების თავდადებაზე, რომლებმაც სიცოცხლე არ დაიშურეს საკოლმეურნეო დოვლათის დაცვისთვის, და როდესაც ღამით კოლმეურნეობის ზვრებს ეცხო პირნი გასაკრეფად დაეცნენ, არ შეეპუვნენ მოთხდომოდ, თავი შეაკლეს, ხალხს ნაშრომნაოფლარი კი არ დაანგებეს. ორი კაცი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე იასონ გაბინაშვილი და მიწათმოქმედი ზაქარია ჯანეზაშვილი შეეწირა იმ ღამეს ამ საქმეს. მკითხველს ისიც ეხსომება, რომ ეს ადამიანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ქაზიდიუმის გრძანებულებით დამნაშავეთა ხელყოფისაგან საკოლმეურნეო საკუთრების დაცვის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის „სიმამაცის“ ორდენებით დაჯილდოვეს, მათ შორის, იასონ გაბინაშვილი და ზაქარია ჯანეზაშვილი — სიკვდილის შემდეგ.

სოფელი მუდამ იამაყებს ამ ადამიანებით, თაობებს გადაეცემა მათი გმირობისა და თავდადების ამბავი და ყოველი თაობა თავის უკვდავ შვილთა შორის მოიხსენიებს მათ. იასონ გაბინაშვილი, — აი მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი და მეთაური — თავისი საქმის, ხალხის თავგანწირვამდე ერთგული.

გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას მაშინვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მკითხველები აღშფოთებას გამოთქვამდნენ და აინტერესებდათ, ვინ იყვნენ ის თავზეხელაღებული ბოროტმოქმედნი, რომლებმაც ყურძნის გულისთვის მოსაკლავად გაიმეტეს ადამიანები.

და აი, უკვე ათი თვე გადის მას შემდეგ და მხოლოდ ახლა შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა, ძვირფასო მკითხველო, და რამდენადმე მაინც სრული პასუხი გავცეთ ყველა იმ კითხვას, რომლებიც ამ საწყუხარო ამბის გამო დაგებადებოდათ.

ამქამად ამის საშუალებას გვაძლევს ჩვენს ხელთ არსებული მრავალტომიანი სისხლის სამართლის საქმე და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლებშიც მეცნიერულ დონეზეა გამოკვლეული დანაშაული და მისი წარმოშობის მიზეზები, გაშიქებული და შეფასებულია მისი ყოველი ნიუანსი, გაკეთებულია ღრმა სოციალური ანალიზი.

განსაკუთრებით დიდი და შრომატევადი სამუშაო შეასრულა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, პირველი კლასის იურისტი დავით ბოჭორიშვილი ხელმძღვანელობდა, სისხლის სამართლის საქმის ყოველ ფურცელს, ყოველ იურიდიულ დოკუმენტს პროფესიონალის ხელი ატყვია.

ჩვენ ისოა დაგვრჩენია, ამ დოკუმენტების მოშველიებით და მათზე დაყრდნობით გადმოგცეთ საქმის შინაარსი, რამდენადაც ამის საშუალებას საგაზეთო წერილის მოცულობა მოგვცემს.

იმ ღამით ასეთ საქმეში გამოუცდელმა იასონ გაბინაშვილმა და მისმა ამხანაგებმა დიდ სიმამაცესთან ერთად შეცდომაც დაუშვეს, მოსალოდნელი ხიფეთი რომ არ გაითვალისწინეს, მილიციას არ შეატყობინეს და დამოუკიდებლად, საკუთარი ძალების ამარა გადაწყვიტეს ყურძნის ქურდების დაკავება, თუმცა დარაჯი გიორგი წიწაკაშვილი ურჩევდა, მარტო ნუ შეეებმებით, საშიშია, მილიციას დავუძახოთ, ვინ იცის, ესენი იქნებ ის ბანდიტები არიან, შარშან ამ დროს რომ დაგვეცნენ ვენახში მე და ჯემალ ჯანეზაშვილს, თოფებით დაგვადგნენ თავზე, ჩვენი ხელით დაგვაკრეფინეს ყურძენი, დატვრეს მანქანები და გაუჩინარდნენ. თქვენ კი არ დაგვიჯერეთ მაშინ, ზარალი ჩვენ გვაზღვევინეთ და არც მილიციას შეატყობინეთო.

უბედურება რომ დატრიალდა, მერეღა მიხვდა ყველა, რომ გამოცდილი გიორგი წიწაკაშვილი მართალს ამბობდა: ბოროტმოქმედნი ყურძნის მპარავი უბრალო ქურდბაცაცები არ უნდა ყოფილიყვნენ. თავიანთ ნამოქმედარნაბოროტალით, ისინი ბანდიტებს უფრო ჰგვანდნენ, რომელსაც ძარცვა-გლეჯა ხელობად და ცხოვრების წესად გაეხადათ.

შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებიც, ბოროტმოქმედთა ძებნას რომ შეუდგნენ, უწინარეს ყოვლისა სწორედ გიორგი წიწაკაშვილის ჩვენებებმა დააკვალიანა. ეს კაცი ირწმუნებოდა, ამ ტრაგედიის დამტრიალებლები სწორედ ისინი იქნებოდნენ, შარშან და შარშანწინაც რომ გადაგვიკრიფეს კოლმეურნეობის ვენახები, თუმცა მაშინ საქმე არ გართულებულა და მოსაკლავადაც არ მოგვტანებიანო.

თუ ამ დებულებას სარწმუნოდ მიიჩნევდნენ, მაშინ ისიც საგარაუდო იყო, რომ ბოროტმოქმედთ მარტო ქვაბგრელის კოლმეურნეობის ვენახები არ ექნებოდათ ამოჩემებული, სხვაგანაც ჩადენდნენ მსგავს დანაშაულს. ამ მოსაზრებას რომ ჩაუღრმავდნენ და ჩაეძიებინენ, მართლაც აღმოჩნდა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ახლომახლო რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ზვრებში კიდევ რამდენიმე ამნარი შემთხვევა მომხდარიყო. როგორც კრიმინალისტები იტყვიან, „დანაშაულის ხელწერაც“ ზედმიწევნით ემთხვეოდა ერთმანეთს.

მაგრამ ყველა ეს დანაშაული შინაურულად მიიჩქმალა და მიფუჩეჩდა ისე, რომ არც ერთხელ მილიციის ყურამდე არ მისულა და. თავის დროზე სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრულა. ამიტომაც ახლა თითქმის ყველაფერი საიდუმლოებით და წყვდიადით იყო მოცული. და მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად სამებრო ოპერატიული ჯგუფისა და პროკურატურის მუშაკთა გამჭრიახობით ბურუსიდან ნელ-ნელა გამოიკვეთა ბოროტმოქმედთა სილუეტები, რომელთა მკრთალი ნაკვალევი ქარელის რაიონის სოფელ რუისისაკენ მიემართებოდა, ამ ძველი და სახელგანთქმული სოფლისაკენ, რომლის წარსულსაც მეთორმეტე საუკუნის მშვენიერი ტაძარი და მრავალი საგულისხმო მოვლენის და პიროვნების სახელი ამშვენებს.

მერე, როცა ამ საეჭვოდ მიჩნეულ სილუეტებს ბოლომდე მიჰყვნენ კახონ-სამართლის კვერთხით, ნათელი მოეფინა ყველაფერს. როგორც კი ბოროტმოქმედნი მიხვდნენ, სინათლეზე იყვნენ გამოყვანილი და დამალვას აზრი არ ჰქონდა, თავად აღიარეს დანაშაული. ეს აღმოჩნდა შეიარაღებული ბანდა, რომელიც ამ ოთხი წლის წინათ შექმნეს და სათავეში ჩაუდგნენ რუისის პირველი საშუალო სკოლის სანტექნიკოსი ომარ იბანეს ძე ღვინიაშვილი და ამავე სოფლის საბჭოთა მეურნეობის მუშა ვალიკო სოსოს ძე კაკაშვილი. ბანდიტები შეიარაღებული იყვნენ კარაბინებით, პისტოლეტებით, ლულაგადაჭრილი სანადირო თოფებით, და პერიოდულად თავს ესხმოდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, იტაცებდნენ მათ ქონებას და ინაწილებდნენ.

ვალიკო კაკაშვილისა და ომარ ღვინიაშვილის მიერ ჩამოყალიბებული ამ ბანდის შეიარაღებულ თავდასხმებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ თენგიზ სოსოს ძე კაკაშვილი, დმიტრი ვალიკოს ძე კაკაშვილი, ტარიელ ილიას ძე ღვინიაშვილი, ვაჟა ალექსის ძე ჩხეიკვაძე, გელა გურამის ძე ენანეიშილი, გივი შოთას ძე ნანეტაშვილი და პაატა შოთას ძე ნანეტაშვილი. ისინი ყველანი, ბანდის მეთაურების გარდა, ახალგაზრდები არიან — 21-30 წლის ჭაბუკები. იმ ასაკისანი, როცა ადამიანი პიროვნებად უნდა ყალიბდებოდეს, როცა მთელი მისი ძალა და ენერგია ოჯახის, სამშობლოს, ხალხის სამსახურს უნდა ხმარდებოდეს.

ამ რამდენიმე დღის წინათ პრესაში გამოქვეყნდა და მეთხველმა უკვე იცის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის განაჩენი, საქართველოს ტელევიზიის გუშინდელმა გადაცემამ ერთხელ კიდევ ახადა ფარდა ამ ბანდის შავ-ბნელ საქმეებს, ნათლად და შთამბეჭდავად გადაგვიშალა ადამიანის დაცემისა და გადაგვარების შემზარავი სურათი და ახლა საგაზეთო ინფორმაციის ფარგლებში თითქმის აღარაფერი დაგვრჩა სათქმელი, მაგრამ ვგრძნობთ, მკითხველი გულნაკლული დაგვრჩება, თუ ზოგიერთი რამ კიდევ არ ითქვა ამ დანაშაულის გარშემო.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ დამნაშავეთა ეს ჯგუფი შემთხვევით შეხვედრილ თანამზრახველთა უბრალო საკრებულო არ ყოფილა. ისინი ერთმანეთის უახლოესი ნათესავები და მეზობლები, ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთის თვალწინ გაზრდილნი არიან. თამაზ და ვალიკო კაკაშვილები ძმები არიან, დმიტრი კაკაშვილი ვალიკოს შვილია. გელა ემანულიძე თენგიზ და ვალიკო კაკაშვილების დისწულია, პაატა და გივი ნანეტაშვილები ძმები არიან. დმიტრი კაკაშვილი და პაატა ნანეტაშვილი მეუღლეების მხრიდან არიან მოყვრები და ახლობლები.

კარგად დააკვირდით და გულისხმაჰყავით: დანაშაულში მთელი ოჯახი, ნათესაური შტო მონაწილეობს.

ეს მეტად დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი ამბავია.

ეს ნიშნავს, რომ ისინი შემთხვევით, რაიმე კონკრეტული გარემოების ზეგავლენით კი არ ყოფილან ჩათრეული დანაშაულში, არამედ ეს მათი ზნეობრივი მრწამსია.

მერედა, როგორია მათი ეს მრწამსი? სრულიად უბრალო და მარტივი: მათ, მთელ ოჯახს, ნათესაურ წრეს, სამეზობლოს, მთელ უბანს მიაჩნიათ, რომ ადამიანს შეუძლია და უფლებაც აქვს ბანდიტობით, ყაჩაღობით, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ქონების დატაცებით და ძარცვა-გლეჯით იცხოვროს. მერე რა, რომ ეს ავკაცობად და დანაშაულად ითვლება? დიდი ამბავი! მთავარია, ვერავინ გაგიგოს და დაუსჯელი დარჩე.

აი, როგორ ცხოვრობდნენ, რა მორალით ხელმძღვანელობდნენ ისინი წლების განმავლობაში. სხვა რაღა უნდა იფიქროს კაცმა, როცა ხედავ, რომ მამა-შვილი, ძმები, ბიძაშვილები და მამიდაშვილები, ნათესავები, მეზობლები ერთად ავაზაკობენ, ხოლო დედები და მეუღლენი შინ, ოჯახში აკრძალულ იარაღს და ჩადენილი დანაშაულის საიდუმლოს უნახავენ მეუღლეებს და შვილებს. აკი ამის გამო, დანაშაულის დაფარვისათვის არ გაასამართლეს მერეცია კაკაშვილი — ვალიკო კაკაშვილის მეუღლე და დმიტრი კაკაშვილის დედა, აგრეთვე ნაირა კაკაშვილი — თენგიზ კაკაშვილის მეუღლე!

ვალიკო კაკაშვილის ოჯახში ცოტად თუ ბევრად ყველას, უკლებლივ ყველას ჰქონდა დანაშაულში გარეული ხელი — მამას, დედას, შვილს და თვით მოხუც დედედასაც. როგორ ეძინათ ღამით, ერთ ჭერქვეშ, როგორ ისმენდნენ ერთმანეთის ფფოთიან სუნთქვას?!

სასამართლო ის ორგანო არ არის, რომელსაც შეეძლოს ან უფლება ჰქონდეს სულში ჩახედოს ადამიანებს, მან თავის განჯა და მსჯავრიც მხოლოდ და მხოლოდ ნაღდ, დოკუმენტურ მტკიცებულებებზე უნდა ააგოს და ვარაუდებს ვერ დაემყარება, თორემ ვინც ცოტა მაინც საქმეში ჩახედულია და ვინც ამ სასამართლო პროცესს ესწრებოდა, ადვილად მიხვდებოდა, რომ ამ ბანდის არსებობა არა მხოლოდ ავაზაკების ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა იცოდნენ, არამედ მთელმა სამეზობლომ, მთელმა უბანმა, იქნებ მთელმა სოფელმაც, მაგრამ ფარავდნენ, ნაღდულმოს უნახავდნენ ბანდიტებს...

თქვენ რა, გსურდათ მთელი სოფელი სამართალში მიგეცათ?! — იქნებ გაგვიცხარდეს რომელიმე რუისელი.

არა, ამას ვინ გკადრებთ, უბრალოდ გვსურდა ბოლომდე გულწრფელი ვყოფილიყავით და სამართლე გვეთქვა: სოფელმა თავის შვილების ავიც უნდა იცოდეს და კარგიც, დროზე უნდა მოუაროს და უპატრონოს, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს...

ზემოთ სიტყვამ მოიტანა და სოფლის სახელოვანი წარსული ვახსენეთ. დიახაც, სახელგანთქმული სოფელია რუისი. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში აქ საეპისკოპოსო კათედრა იყო და ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად ითვლებოდა. ჩვენამდეა მოღწეული რუისის წეგნთსაცავის მრავალი ძვირფასი ხელნაწერი.

არც დღევანდელ რუისზე გვინდა ვთქვათ ოუგი. მთელ საქართველოში იგი ერთ-ერთი დიდი და ღონიერი სოფელია. ახლა ისე როდია, ვახუშტი ბატონიშვილი რომ აღწერდა: „რუისი არს უწყალო, თვინიერ წყაროსა ერთისაა“. დღეს აქ იმდენი წყალია, საკალმახე მეურნეობაც კი მოაწყვეს. მთელი სოფელი ბაღ-ვენახებშია ჩაფლული. აქაური საბჭოთა მეურნეობის ბაღები საუკეთესოა ამ მიდამოებში. რუისში სამი საშუალო სკოლაა, ორი საბავშვო ბაღი, სამუსიკო სკოლა, საავადმყოფო, სავაჭრო ცენტრი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, კულტურის სახლი. სოფელს სახელოვანი ადამიანებიც ბევრი ჰყავს. რუისელებს სიამაყით შეუძლიათ წარმოვიდგინოთ დიმიტრი ვარძელაშვილი, რომლის ოჯახში ათი სანაქებო შვილი იზრდება, წელმაგარი ოჯახი და რვა შვილი ჰყავთ მარიამ და დიმიტრი რაზმიაშვილებს, რვა ერთმანეთზე უკეთეს ვაჟიშვილებს უზრდის სამშობლოს პელო ნასყიდაშვილი, რამდენი ერთი და ორი ჩამოვთვალოთ.

და მაინც, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და პირდაპირ ვთქვათ: ბოლო დროს რუისელებმა ძალიან გაიტეხეს სახელი დანაშაულთა, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა სმრავლით. მარტო ეს ერთი სასამართლო პროცესი ეყოფათ მათ თაობათა მანძილზე არა მარტო ლაქად და სირცხვილად, არამედ დარდად და ტკივილადაც. როგორ შეუძლიათ რუისელებს დავიწყოს ის დღე — 1986 წლის 11 ივლისი, როცა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ სოფლის სამ შვილს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. როგორ შეიძლება დავიწყოს ეს დღე იმათ, ვინც განაჩენის გამოცხადების დროს სიკვდილმისჯილების — ომარ ღვინიაშვილის, თამაზ კაკაშვილის და დმიტრი კაკაშვილის დედებს, მამებს, შვილებს, დამძმეს და ნათესავებს უყურებდა თვალებში. როგორ შეუძლია ეს დღე დავიწყოს იმან, ვინც იცის, რომ სიკვდილმისჯილის — 24 წლის დმიტრი კაკაშვილის გოგონას, რომელსაც ჯერ ერთი წელიც არ შესრულებია, მამა არც კი უნახავს.

სასამართლო პროცესი რომ დამთავრდა და ხალხი მძიმედ, მდუმარედ გამოდიოდა დარბაზიდან, ვიღაცამ როყიოდ წამოიძახა: „ყველასათვის სამახსოვრო და ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ეს ამბავი“.

ყველამ გაკვირვებით, მწყარალდ შეხედა მას...

არადა, ეს კაცი მართალს ამბობდა, მაგრამ რა ძნელი იყო, რა უადგილო ჩანდა ამ სიტყვების მოსმენა ახლა, ამ წუთს, როცა საქმე ადამიანის ყოფნა-არყოფნას შეეხებოდა... რატომ უნდა ხდებოდეს ეს, რატომ, რატომ, რატომ?.. რატომ უნდა ვიყოთ იძულებული ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად, ჩვენი სიმშვიდისა და ბედნიერების დასაცავად სიკვდილით დასჯას მივმართოთ?

მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ, სანამ არსებობენ ჩვენს საზოგადოებაში ისეთი ბანდიტები, რომლებსაც შეუძლიათ ყურძნის გულისათვის სასიკვდილოდ გაიმეტონ კაცი, მეტი გზა არა გვაქვს, სასჯელის ეს განსაკუთრებული ღონისძიებაც უნდა გამოვიყენოთ.

მთავარია არ მოხდეს ასეთი მძიმე დანაშაული, საქმე აქამდე არ მივიყვანოთ.

რა სამწუხაროა, რომ გვიან მიხვდნენ რუისელები ამას, ძალიან გვიან. სანამ მსხვერპლი არ გაიღო სოფელმა, სანამ სისხლი არ გაიღო, ნუთუ მანამ ვერ უნდა მიმხვდარიყვნენ?!

მ. მიქაძე,
გ. ვაშაკიძე.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ „ᲛᲐᲘᲐ“

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ რაიონულ ცენტრში გაიხსნა ჭადრაკის სახლი, რომელსაც სამგზის მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის პატივსაცემად „მაია“ უწოდეს. ლენტი საზეიმო ვითარებაში ოვით ჭადრაკის დედოფალმა გადაჭრა და პირველმა გადაბიჯა ახალი შენობის ზღურბლს.

ჭადრაკის სახლის გახსნა დაემთხვა მოსწავლეთა შორის ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატს, რომელიც აქ გაიმართება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: სამგზის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე ხსნის ჭადრაკის სახლს; ასპარეზობენ ნორჩი მოჭადრაკეები.

გ. ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲫᲚᲝᲡᲜᲘᲡ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ასპარეზობის ბოლო დღეს თავი ისახელა სსრ კავშირის ორმა რეკორდსმენმა: ოლეგ პროკოფიევმა (17 მ 59 სმ), ხოლო ირკუტსკელი ივანე კონოვალოვი პირველი იყო 3.000 მეტრზე რბენაში (8.27, 77). ზაპოროჟიელმა ტატიანა სამოილენკომ 1.500 მ ყველაზე სწრაფად გაიირბინა (3.39,45) და პირველი ადგილი დაიკავა. 10.000 მეტრზე რბენაში ფინიშზე პირველი მოვიდა თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვი (28.38,85). ქვეყნის ჩემპიონი გახდა აგრეთვე სერგი აფანასიევი (მოსკოვის ოლქი) — 1500 მეტრზე რბენაში (3.39,52). როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის 4X100 მ ესტაფეტაში გაიმარჯვეს უკრაინის კვარტეტებმა. 4X400 მეტრზე ესტაფეტაში ქალთა შორის გაიმარჯვეს უკრაინელებმა, ხოლო ვაჟთა შორის პირველნი იყვნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის მძლეოსნები. ეს შეჯიბრება ჩვენი მძლეოსნების ძალების ბოლო შემოწმება იყო ევროპის XIV ჩემპიონატის წინ, რომელიც 27-31 აგვისტოს გაიმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. შტუტგარტში.

ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲤᲝᲗᲘᲡ ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ესპანელი ავტორების ლ. ბერლანგას, რ. ასკონასა და ე. ფლაიანოს კინო-სცენარის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ჯალთი“. ინსცენირება ეკუთვნის თ. გოდერძიშვილს.

წარმოდგენა დადგა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა ზ. სიხარულიძემ. (საქინფორმი).

რედაქტორი
გ. ᲒᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲝᲚᲙᲝᲕᲘ

19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — კეთილი ნების ასპარეზობათა დღიური. 9.55 — „უმაღლესი სკოლა: გარდაქმნის პრობლემები“. 10.25 — „ბურატინოს გამოფენა“. 10.55 — მუშათა ფესტივალი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 11.55 — ყველასა და თითოეულისათვის. „ადვილია თუ არა მაცივრის არჩევა?“. 12.25 — კონცერტი. 12.40 — დოკუმენტური ტელეფილმი „უკვდავი სიტყვა“. 13.30 — მუსიკალური კოსკი. 14.00 — მხატვრული ფილმი „საღამოს ექვს საათზე ომის შემდეგ“. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — კონცერტი. 16.15 — მულტფილმები. 16.50 — პოეტური ანთოლოგია. პაბლო ნერუდა „ოლიელი“. 17.10 — „ნიკარაგუა: რევოლუციია გრძელდება“. 17.45 — ცხოველთა სამყაროში. 18.45 — ტელემაყურებელთა კითხვებს უპასუხებს აკადემიკოსი ვ. გ. აფანასიევი. 19.15 — საესტრადო სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ორფეუსი — 86“. 20.20 — კინოპანორამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კეთილი ნების ასპარეზობანი. 0.50 — ასპარეზობათა დღიური.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი“. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.25 — დილის ფოსტა. 10.55 — ჩვენი ბაღი. 11.45 — მსოფლიო კულტურის რჩეული ფურცლები. ჯონათან სვიფტი. 12.45 — მღერის კ. სარტაბაევა. 13.10 — „გადარჩენილი მშვენიერება“. 15.10 — კონცერტი. 15.30 — მხატვრული ტელეფილმი „აგარაკის ამბები“. პირველი სერია (ბდრ). 16.30 — ფილმ-ბალეტი „უფლისწული და მათხოვარი“. 17.50 — მულტფილმები. 18.20 — ფილმ-კონცერტი. 18.55 — რეკლამა. 19.00 — მოგზაურთა კლუბი. 20.00 — კეთილი ნების ასპარეზობანი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო“. 21.15 — კეთილი ნების ასპარეზობანი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „სათავეები“. პირველი სერია.

ᲗᲔᲗᲠᲘᲚᲘ

19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ბავშვობის დღესასწაული“. 12.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“ (განმეორებით). 12.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენ გვწერენ“. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვის ესიზმრება ცხენები ღამით?“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მე აქ ვცხოვრობ“ (პირველი ჩვენება). 16.35 — მულტიპლიკაციური ფილმები ს ჩრდ.ამაზე. 17.10—დოკუმენტური ფილმები ხანძარსაწინააღმდეგო თემაზე „საბედისწერო სვლა“ და „ცეცხლის ვახტზე“. 18.05 — რეკლამა. 18.15 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 18.45 — ახალგაზრდობისათვის. „სუფნიკის“ მარშრუტებით. 19.05 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „ციბრძოლთა ჩაის ხარისხისათვის“. 19.25 — მოამბე. 20.00 — პოლონეთის აღორძინების დღის გამო (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 20.55 — „ჩვენი საუკუნე გვიცავს უახლესი“. 21.00 — ლიტერატურული გადაცემა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე“. პოლონური მხატვრული ფილმი „უკან დასაბრუნებელი ბილეთი“. 24.00 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.10 — მუსიკის სამყაროში“. (ჯანმეორებით). 17.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სიღრმის მდუმარება“. 17.30 — მხატვრული ფილმი „შეხვედრა სიჭაბუკესთან“.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვს „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ყველაფერი შებრუნებიან“. 11.40 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ქორწილი თერგზე“ (პირველი ჩვენება). 12.10 — „თეატრალური ფოსტა“ (განმეორებით). 13.20 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალეტი „ლებედინი ტბა“ ბოლშოი თეატრში“. 17.05 — „ბავშვობა“. 17.40 — „ბალეტი ბალეტზე“. 18.20 — „ბალეტ ტასიკო“ და „ფანტაზია“. 17.40 — მოსწავლეთათვის. „უფლისწულ“. 19.05 — „ნოქალაქეები — არქეოპოლისი“. 17.05 — განცხადებები. 17.10 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმები „ბატ ტასიკო“ და „ფანტაზია“. 17.40 — მოსწავლეთათვის. „უფროსების მხარდამხარ“. 18.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 18.45 — ლიტერატურული გადაცემა „ანა ანტონოვსკაია“. 19.15 — ქართული სატელევიზიო ფილმ-კონცერტი „მღერის ირმა სოხაძე“ (მ.). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „თითოეულს შრომის მიხედვით“. 20.55 — მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების ფილმ საკავშირო ფესტივალის კონცერტი. (ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს) 21.25 — „ვერნისაჟი“. — ელგუჯა ამაშუკელი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“.

მეორე პროგრამა. 15.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრომის სიმფონია“. 16.15 — სატელევიზიო დადგმა „რა ვაკეთოთ?“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ცოცხალი ცასარმგელა“. 11.20 — საბავშვო იუმორისტული ჟურნალი „ერალაში“. 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“. 13.00 — აბიტურიენტთათვის. ბიოლ ო გ ი ა. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ახალგაზრდობისათვის. „ავტომიოგრაფია“ (განმეორებით). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსი ელთათვის საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიკოვური საზამთრო“. 17.25 — განცხადებები. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ოქროს საცერი“. 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი“. 18.25 — ხალხური ფოლკლორის მოამაგენი. ექვთიმე თაყაიშვილი. 18.50 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „ნავთობპროდუქტები. 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“-ლენინგრადის „ზენიტი“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს (20.45) — „რჩევა-დარიგება — ახალგაზრდა დედებს“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ქუთაისის „ტორპედო“-ვილნიუსის, „ჟალგირისი“. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 23.30 — ჯ. გერშვინი — „რაფსოდია ბლუზის თემაზე“. ასრულებენ პიანისტი ჯ. ლალანიძე და საქტელერადიოს რ. ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 15.45 — მხატვრული ფილმი „ერთიანი მოტეტებით“. 17.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თუ ყველა ერთხმად მოინდომებს“. 17.30 — სატელევიზიო დადგმა „კრაკოველები და მთიელები“.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „მოსალოდნელი გრიგალი“. 11.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვეულებრივი სასწაულები“. 12.25 — ახალგაზრდული შეხვედრები. (შეხვედრა თბილისის პირველი მაისის სახელობის ფაბრიკაში. განმეორებით). 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენ მოგვყვები“. 16.45 — განცხადებები. 16.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „სალხინოდ მოხმარდეს“. და „ტაღლებზე მონავარდე“. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმ ე ბ ი